# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 19 თებერვალი, 2008 წელი.

№ 31 (5889)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## თბილისი „ქართულად და ჯიგრულად“ არდანებების მოლოდინში... ③



აკაკი ასათიანი:

## ვაშინგტონს გალახული სააკაშვილი ურჩევნია



②-④

ლილია შევცოვა:

## კრემლი არასოდეს დაუჭერს მხარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ⑤



## გაპრივატიზებული საქართველო ⑧



## ვაშა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თინეიჯერებს! ⑧

## პოლიცია გაარკვევს, სიკვდილის წინ ვის შეხვდა გარდაცვლილი მაგნატი ⑪

THE TIMES





არჩილ გეგეშიძე:

## ეს უფრო ფანტაზია, ვიდრე რეალური საფრთხის შემცველი ⑥



## ხელისუფლება ვითომ ბონს მოებო? ⑦

# სახელმწიფო

● ის 17 მოთხოვნა, რომელიც ოპოზიციამ ხელისუფლებას აბსოლუტურად სამართლიანად წაუყენა, თითქოს ორ დაჯგუფებას შორის რაღაც მოლაპარაკების შთაბეჭდილებას ქმნის. თითქოს ეს ქვეყანა ამ ხელისუფლებით და გაერთიანებული ოპოზიციით ამოიწურებოდეს...



№ 31. სამშაბათი, 19 თებერვალი, 2008 წელი.

◎ დოკუმენტი

# „ქართული აკადემიის“ მიმართვა

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი

„ქართული აკადემია“ გამოთქვამს უკიდურეს შეშფოთებას ქვეყანაში შექმნილი დაძაბულობისა და ფეთქებადსაშიში ვითარების გამო. ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგი შეწყვეტილია. საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი კი შიმშილობის, მიტინგებისა და მანიფესტაციებისათვის ემზადება. ეს ახალი საპროტესტო ტალღა ძირითადად წარმოშვა ხელისუფლების მიერ იმ პუნქტების შეუსრულებლობამ, რომლებზეც უკვე მიღწეული იყო ოპოზიციასთან შეთანხმება. არსებობს ყველა წინაპირობა, ქვეყანაში განვითარდეს უმართავი პროცესები.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, მივმართოთ პარლამენტის თავმჯდომარეს, როგორც ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფალს, რომელიც ამავე დროს პასუხისმგებელია ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გამართულ მოლაპარაკებათა შედეგებზე.

ჯერ კიდევ არ არის გვიან დიალოგის გაგრძელება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია დარჩენილ დღეებში იმ პუნქტების უპირობო შესრულება, რომლებზეც შეთანხმება მიღწეული იყო. კერძოდ:

1. 7 ნოემბრის საპროტესტო გამოსვლებში მონაწილე პირებზე სამართლებრივი დევნის შეწყვეტა და დაკავებულთა დაუყოვნებელი გათავისუფლება.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება.

3. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის სამსახურიდან დათხოვნა.

არც ერთი ამ შეთანხმების შესრულება არ მოითხოვს დიდ დროსა და განსაკუთრებულ ძალისხმევას. ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი თუნდაც დროებით განმუხტავს უკიდურესად საშიშ დაძაბულობას და საზოგადოებასაც დაარწმუნებს, რომ აზრი აქვს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის გაგრძელებას.

ხელისუფლების მხრიდან ამგვარი გონივრული ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში „ქართული აკადემია“ მოუწოდებს ოპოზიციას, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს მოლაპარაკების მაგიდას.

ორივე მხარის სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში „ქართული აკადემია“ მზად არის 22 თებერვლამდე შეასრულოს შუამავლის ფუნქცია ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ხოლო დიალოგის განახლების შემთხვევაში საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დაესწროს მოლაპარაკებათა პროცესს.

დაბეჯითებით ვაცხადებთ: თუკი 22 თებერვლამდე დარჩენილ დღეებში ხელისუფლება არ შეასრულებს შეთანხმებულ პუნქტებს, მასვე დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა მოსალოდნელ უმძიმეს შედეგებზე.

◎ თვალსაზრისი

# აკაკი ასათიანი: ვაშინგტონს გალახული სააკაშვილი ურჩევნია

**საპარლამენტო არჩევნებამდე არც ისე დიდი დრო რჩება. დაძაბული ფონის მიუხედავად, ტრადიციონალისტთა კავშირი არჩევნებისთვის მზადებას ჯერჯერობით დამოუკიდებლად იწყებს. პარტიის ლიდერის განმარტებით, ისინი გაერთიანებულ ოპოზიციას არ ემიჯნებიან, თუმცა მაინც არსებობს ზოგიერთი საკითხი თუ თემა, რის გამოც მათ არ უერთდებიან. უფრო დაწვრილებით პარტიის ლიდერი აკაკი ასათიანი გვესაუბრება.**

**— ბატონო აკაკი, რატომ არ შეუერთდით აქციას და დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს? დავით გამყრელიძემ ხომ ყველა ოპოზიციურ ფრონტს გაერთიანებისკენ მოუწოდა... რომელ საკითხებში ეთანხმებით და რომელში ემიჯნებით ოპოზიციას და როგორ შეაფასებთ იმ 17-პუნქტიან მემორანდუმს, რომელიც მათ პარლამენტს წაუყენეს?**

— ჩვენ ყოველთვისაც ვუერთდებით აქციებს. უბრალოდ, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გვიწყობს ხელს ვითარება, ხან ვართ აქციაზე, ხან — არა. თუმცა ორგანიზაციულად არ ვთანამშრომლობთ.

ის 17 მოთხოვნა, რომელიც ოპოზიციამ ხელისუფლებას აბსოლუტურად სამართლიანად წაუყენა, თითქოს ორ დაჯგუფებას შორის რაღაც მოლაპარაკების შთაბეჭდილებას ქმნის. თითქოს ეს ქვეყანა ამ ხელისუფლებით და გაერთიანებული ოპოზიციით ამოიწურებოდეს... არც ეს ქვეყანა დაიყვანება ამ ორ შემადგენელ ნაწილამდე, და არც პოლიტიკური სპექტრი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ვინმე ახალ ძალას შექმნის ან დამოუკიდებლად მონაწილეობას გადაწყვეტს, საზოგადოებისთვის, რაც არ უნდა მისაღები აზრები ჰქონდეს, არავითარი შანსი არ ექნება.

მთავარი საკითხი, რის გამოც ოპოზიციასთან ორგანიზაციულად არ ვერთიანდებით, ეს კოსოვოს, ანუ აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხია. ფაქტობრივად, პრობლემის პიკი ეს არის.

ბოლო ერთი თვის მანძილზე, ამ თემაზე, ჩვენი ხელისუფლების ორი უმაღლესი პირი, სააკაშვილი და ბურჯანაძე ალაპარაკდნენ. მათ ნიშნს არ მოვუგებ, რადგან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, მართლაც, ურთულეს პროცესებს გვიქადის. მაგრამ აქამდე, 4 წლის განმავლობაში ეს ხალხი გვეუბნებოდა, აფხაზეთს და ცხინვალს ეს უშუალოდ არ უკავშირდებაო. პუტინს ეს არ ესმის, ძალაუფლება კი მის ხელშია. ჩვენს ოკეანის მიღმელ მეგობარს, რომელიც კოსოვოზე რაღაც წერამ აიტანა, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის არსებითად საწინააღმდეგო აზრი აქვს. ქვეყანას გამოკვეთილი პოზიცია უნდა ჰქონდეს.

უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან 2/3 კოსოვოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგია. ეს არის ჩვენი ბაზა და პოტენციალი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია ვიბრძოლოთ. ძალიან ვწუხვარ, რომ ოპოზიციის არც ერთი წევრს ეს საკითხი არ აინტერესებს და ამ თემაზე არანაირ პოზიციას არ გამოხატავს.

ასევე, უამრავი პრობლემური საკითხი არსებობს. საარჩევნო კომისიაში ოპოზიციური პარტიების წევრების ყოფნის შემთხვევაშიც კი, მოგეხსენებათ, გაყალბების არავითარი გარანტია არ არსებობს, რაც ხმების მხოლოდ მინიმალურად დაცვის საშუალებას მოგვცემს. ამ არჩევნებზეც მხოლოდ ეს მოხერხდა. პატარკაციშვილმა, ოფიციალური მონაცემებითაც კი, 7 პროცენტზე მეტი მიიღო, თუმცა, მან ხმების დაცვა ვერ შეძლო... თუ არჩევნებია, მოდით ბოლომდე, ყველასთვის თანაბარი შანსებით, სამართლიანი არჩევნები იყოს.

ასევე, ძალიან მაინტერესებს, რას გულისხმობენ პარიტეტში ხელისუფლების ან ოპოზიციის წარმომადგენლები: ერთმანეთთან პროტესტს, თუ იმას, რასაც ზოგადად პარიტეტი გულისხმობს, ანუ ყველა მონაწილეს თითო წევრი ჰყავდეს.

**— ანუ არჩევნებში მონაწილეობას ტრადიციონალისტთა კავშირი დამოუკიდებლად აპირებს?**

— გავერთიანდებით იმასთან, ვინც ჩვენს შეხედულებებს გაიზიარებს. აფხაზეთის და ცხინვალის, პირობითად რომ ვთქვათ, „კოსოვოს საკითხს“, ეკონომიკურ საკითხს და ა. შ. ჯერჯერობით, გაერთიანებული ოპოზიციისგან ამ თემაზე არაფერი მსმენია და, შესაბამისად, არც მათთან გაერთიანების პერსპექტივა ჩანს.

**— როგორი იქნება საპარლამენტო არჩევნები და ვის აქვს გამარჯვების მეტი შანსი? როგორია თქვენეული პროგნოზები?**

— ეს არჩევნები ორ ჯგუფს შორის წარმოშობილი კონფლიქტის განმუხტვის კი არა, ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის საშუალება უნდა გახდეს.

საერთო ჯამში, ვფიქრობ, ოპოზიცია მოიგებს, იქნება ეს ერთიანი ოპოზიცია თუ რომელიმე სხვა.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მათ საკმაოდ სუსტი კამპანია აწარმოეს. ეს, შესაძლოა, უსახსრობით ან რაიმე სხვა მიზეზით იყო გამოწვეული, თუმცა მხოლოდ ხალხის მხარდაჭერის იმედზე იყვნენ და შედეგის შენარჩუნებაც ვერ მოახერხეს. ამ ხარვეზებს გათვალისწინება უნდა. ამჯერად, ვფიქრობ, გაცილებით უკეთესი კამპანია უნდა ჩატარდეს.

იხ. 4 გვ.

◎ ინფორმაცია

## პრეზიდენტს იულონ გაგოშიძე თან მიჰყავს

**დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგოშიძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად მოსკოვში გაემგზავრება.**

გაგოშიძე მოსკოვსა და სხვა ქალაქებში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრებს აპირებს.

— პროგრამაში — „საქართველო სიღარიბის გარეშე“ ქართული დიასპორის წარმომდგენლებმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ, — აღნიშნა გაგოშიძემ.

მისივე განმარტებით, ინვესტიციებს დიასპორის წარმომადგენლები ისედაც ახორციელებენ, ხოლო სახელმწიფოს შეუძლია, ეს ინვესტიციები უფრო ორგანიზებული გახდეს.

## ჩიხრაძე ხელისუფლებას სიფრთხილეს ურჩევს

**საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრი ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება კოსოვოსთან მიმართებაში ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცეს.**

— ხელისუფლება უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცევიან მთელი რიგი სახელმწიფოები, რომლებიც, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თავს იკავებენ კოსოვოს საკითხში ჩარევისგან, — განუცხადა ჩიხრაძემ ჟურნალისტებს.

მისივე თქმით, ფაქტია, რომ პოლიტიკურმა კონიუნქტურამ განაპირობა სეპარატიზმის წახალისება და, სამწუხაროდ, ამ ფაქტმა შემდეგში შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

ფიქრია ჩიხრაძეს უჭირს პროგნოზირება, თუ როგორ განვითარდება მოვლენები კოსოვოს აღიარების შემდეგ.

## სააკაშვილი გვარამიას ვირის აბანოს დანგრევას აიძულებს



**ორთაჭალის საპყრობილე არის აბსოლუტურად მოურგებელი იმ პირობებს, რომელიც უპასუხებს თანამედროვე მინიმალური ადამიანური პირობების შექმნას. ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრთან შეხვედრისას გააკეთა. სააკაშვილმა ნიკა გვარამიას 50-დღიანი ვადა მისცა, რათა მოხდეს აღნიშნული საპყრობილის პატიმრებისგან გათავისუფლება და მისი დანგრევა.**

— სასწრაფოდ უნდა მოვახდინოთ იქ მყოფი პატიმრების გადანაწილება. ამიტომ 50 დღის ვადაში უნდა გადაიდგას პირველი ნაბიჯები ამ იზოლატორის გათავისუფლებისა და საერთოდ დანგრევის კუთხით. უახლოესი კვირების თავზე ეს იზოლატორი საერთოდ უნდა დაინგრეს და პატიმრები გადავიყვანოთ ნორმალურ პირობებში, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ამჟამად ორთაჭალის იზოლატორში სასჯელს სულ 2 ათას 650 პატიმარი იხდის.

## ორი პოლიტპატიმარი გაათავისუფლეს

**ხელისუფლებამ ოპოზიციის ერთ-ერთი მოთხოვნა ნაწილობრივ უკვე დააკმაყოფილა.**

როგორც კონსერვატიული პარტიის წევრმა კახა კუკავამ განაცხადა, 18 თებერვალს პატიმრობიდან გაათავისუფლეს 2 პირი — ლევან მინაშვილი და ილია ძოიავა.

ოპოზიციის თქმით, ორივე მთგანი 7 ნოემბრის მოვლენების დროს სრულიად უკანონოდ დააპატიმრეს და შესაბამისად, საპყრობილეში პოლიტპატიმრების სტატუსით იმყოფებოდნენ.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

# ადუღებული დრო

**ჩვენი ხელისუფლების საყვარელ სიტყვას „კონსენსუსს“ თუ მოვიშველიებთ, სამწუხაროდ, თანხმობა-ერთსულოვნება არ შედგა. დიალოგი ჰაერში გამოკიდებული დარჩა, დრო კი გავიდა...**



## შიმშილობის აქციის წინ

***მოლაპარაკება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ისევ ჩაიშალა. შევა თუ არა ჩიხში პოლიტიკური პროცესი, ამას უახლოესი მოვლენები დაგვანახვებს, ერთი რამ კი ცხადია – ოპოზიციამ ისევ რადიკალური ნაბიჯი გადადგა და რამდენიმე დღეში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორსა და თელავში შიმშილობას დაიწყებს. ისინი იმუქრებიან, რომ საქართველო კარვების ქალაქად გადაიქცევა. ის ავად სახსენებელი „ქარავი“ შიშის ზარს სცემს ხელისუფლებას. სწორედ ამის გამო დაარბიეს ნოემბერში მოშიმშილეები, რომლებიც პარლამენტის წინ კარვების გაშლას აპირებდნენ, და რა გამოდის? 7 ნოემბრიდან დღემდე განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, შეიკრა მოჯადოებული წრე და ოპოზიცია ისევ საწყის წერტილს დაუბრუნდა. ჩვენი ხელისუფლების საყვარელ სიტყვას „კონსენსუსს“ თუ მოვიშველიებთ, სამწუხაროდ, თანხმობა-ერთსულოვნება არ შედგა. დიალოგი ჰაერში გამოკიდებული დარჩა, დრო კი გავიდა...***

# თბილისი „ქართულად და ჯიგრულად“ არდანებების მოლოდინში...

## მოჯადოებული წრე თუ ახალი ეტაპი?

ოპოზიცია ამ ხნის განმავლობაში ისედაც აცხადებდა, ხელისუფლება დროს წელავს და თუ ხალხის რაოდენობა პარლამენტთან შემცირდება, კვლავ გაგრძელდება დაჭერები და მათთვის მიუღებელი პიროვნებების ჩარეცხვაო. არ არის გამორიცხული, მომძლავრების შემდეგ, ხელისუფლებამ ეს მოიმოქმედოს, მანამდე კი... ხალხს და საერთაშორისო საზოგადოებრიობას დაანახვოს, რა მარჯვეა დიალოგში, რა თავგანწირულად ცდილობს ყველა მწვავე საკითხის მოგვარებას, ამასობაში, პარალელურად, ოპოზიციის დისკრედიტაცია მოახდინოს, გააზვიადოს მის ლიდერებს შორის რაიმე პატარა შეკამათება და განხეთქილებად წარმოაჩინოს... ერთი სიტყვით, ამ ე. წ. დიალოგით ორი კურდღელი დაიჭიროს, რომ თანდათან ხალხის თვალში ოპოზიციას ნდობა დაუკარგონ და შეაგუონ ადამიანები სააკაშვილის პრეზიდენტობას. თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ არ დაკმაყოფილდა ოპოზიციის თუნდაც ეს სამი მოთხოვნა, რის გამოც მისი ლიდერები შიმშილობის დაწყებას აპირებენ? – ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლება; ცესკოს თავმჯდომარის თარხნიშვილის დაუყოვნებლივ გადადგომა და პარიტეტის საწყისებზე ცესკოს კომისიის შექმნა; საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თამარ კინწურაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომა და არხის ახალი, მხარეებს შორის შეთანხმებული ადმინისტრაციის დანიშვნა;

თუმცა, საკითხავია, რატომ არ იმოქმედა ხელისუფლებამ კონკრეტულად (რასაც ოპოზიცია მოითხოვდაძ და რატომ ვერ გაწირა თარხნიშვილი და კინწურაშვილი? თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ეს ყველაფერი ისევ და ისევ „თავისუფლების“ ინსტიტუტის გავლენით აიხსნება, რომელსაც თურმე გადაუწყვეტია, არ დათმოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და უხეშად ერევა სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებაში. ოპოზიციის ლიდერების თქმით, თუ კინწურაშვილი თავმჯდომარის პოსტს დატოვებს, შემდეგ კონკურსში ხელმეორე მონაწილეობით შეეცდება ამ თანამდებობის ისევ ხელში ჩაგდებას, ოპოზიცია ფიქრობს, რომ ნინო ბურჯანაძეს მოლაპარაკების პროცესში დაბრკოლებას უქმნიან. მისი ერთ-ერთი ლიდერის დავით ბერძენიშვილის განცხადებით, ნინო ბურჯანაძის ფრთას ხელისუფლებაში ხელს უშლიან სხვები, რომლებიც ცდილობენ სააკაშვილი ამყოფონ მძევლის მდგომარეობაში. სწორედ ამ ვითარებამ შეიყვანა მოლაპარაკება ჩიხშიო. თუმცა, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია თავად ოპოზიციას ადანაშაულებს, რომ სწორედ მათ არ სურთ შეთანხმების მიღწევა, არამედ უნდათ, დიალოგის თემის გამოყენებით აგრესიული და არაკორექტული წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაო.

ამ ურთიერთბრალდებების ფონზე, საინტერესოა ოპოზიციის ოპოზიციად მოვლენილი, პოლიტიკური გაერთიანება „იმედის“ ლიდერის ირინა სარიშვილის განცხადებები. იგი სასაცილოდ მიიჩნევს ოპოზიციის კატეგორიულ მოთხოვნას თარხნიშვილისა და კინწურაშვილის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე, რადგან მისი აზრით, მთავარი პრეზიდენტ სააკაშვილის გადაყენებაა. „სასაცილო ხომ არ არის, როცა ხელისუფლებისგან ითხოვთ მაუწყებლის ხელმძღვანელის გადაყენებას, და არა, საერთოდ, ამ არხის ხელისუფლების გავლენისგან გათავისუფლებას. ესეც ორმაგი სტანდარტია. ეტყობა, ოპოზიციისთვის სააკაშვილზე უფრო მნიშვნელოვანი ლევან თარხნიშვილია, რომლის მოხსნასაც ითხოვენ და არ ითხოვენ სააკაშვილის გადაყენებას...“

პრინციპში, მართლაც, რატომ არ შეუტია ოპოზიციამ არალეგიტიმურ პრეზიდენტად მონათლულ სააკაშვილს? ამ შემთხვევაშიც ფარული გარიგება ხომ არ თამაშდება, საპრეზიდენტო არჩევნების მიჩქმალული მეორე ტურის მსგავსად, როცა მეორე ტურად საპარლამენტო არჩევნები გასაღდა, სააკაშვილის ინაუგურაცია კი ზარ-ზეიმით აღინიშნა. მართალია, ზვიად ძიძიგურმა 15 თებერვლის მიტინგზე განაცხადა, რომ ლოზუნგი საქართველო უსააკაშვილოდ ისევ ფორმულად რჩება, ხოლო ლევან გაჩეჩილაძემ ხელისუფლების 21-პუნქტიან დოკუმენტს საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა უწოდა, სადაც არ წერია შედეგი და მხოლოდ პროცესია ასახული, რომ სიბინძურისა და სიცრუის მანქანა ისევ აგრძელებს მუშაობას, ამის მიუხედავად, მაინც რჩება ეჭვი აქციების იმ საერთო, წინასაარჩევნო კამპანიის სცენარით გამართვის თაობაზე, რომელიც თავად ხელისუფლებასაც ხელს უნდა აძლევდეს. იგულისხმება, თუნდაც საერთო-სახალხო მოძრაობაში გაერთიანებული საპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც „ვარდების“ რევოლუციის შემოქმედი და თანაავტორია და „ვარდების“ ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებელია ქვეყანაში ოთხი წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენებზე. „ლეიბორისტების“ აზრით, ეს ადამიანები ხელისუფლებას ელაპარაკებიან დემოკრატიულ საარჩევნო კანონმდებლობაზე, როცა მათი მოვალეობა უნდა ყოფილიყო ამ ოთხი წლის განმავლობაში დემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობაც, საარჩევნო კომისიაც და ამასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

ამიტომ საზოგადოების ერთი ნაწილი ამჟამინდელ პოლიტიკურ მოვლენებს ფარსად მიიჩნევს, რომ მალე გამოქვეყნდება საპარლამენტო საარჩევნო თარიღიც და მერე ყველა ერთად – საპარლამენტო ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ხალხს მოახსენებს, უკვე თარიღია დანიშნული და მთლიანად გადავდივართ წინა საპარლამენტო საარჩევნო პროცესშიო.

ასეა თუ ისე, აქციებისა და მიტინგების ტალღა ისევ დაიძრა, ოღონდ ამჯერად ერთი არსებითი ნიუანსით – მტრად და აგენტად შერაცხული ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა, პოლიტიკაში კი დაბრუნებას აპირებს ირაკლი ოქრუაშვილი.: ყოფილმა პოლიტპატიმარმა ირაკლი ბათიაშვილმა 15 თებერვლის მიტინგზე განაცხადა, რომ საქართველოში დადის სიღატაკის, შიმშილის აჩრდილი, პატარკაციშვილი არაადამიანური დევნის მსხვერპლი აღმოჩნდა და გადამწყვეტი მოქმედების დრო დადგაო.

იგივე ცოტა სხვანაირად კახა კუკავამაც გაიმეორა: ყველა ბრძოლა გავიარეთ და დიდგორს მივადექით. 22 თებერვალს უნდა გადაწყდეს ჩვენი და ჩვენი შვილების ბედიო.

ლევან გაჩეჩილაძემ კი მთელ თბილისს მოუწოდა, ქართულად, ჯიგრულად, არ დავნებდეთ. თავიდან იწყება ერთიანი, სახალხო მოძრაობაო.

ამასობაში კარს მოგვდგომია კოსოვოს სახიფათო თემა. ახლა ამ თვალსაზრისით სიფრთხილე მართებს ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას კოსოვოს დამოუკიდებლობის მიმართ ჩვენ ბრმად არ უნდა მივბაძოთ, რადგან ამ შემთხვევაში ამერიკას თავისი მიზნები აქვს რუსეთის წინააღმდეგ, ჩვენ კი – ჩვენი. ეს ბეწვის ხიდია, რომელზეც გავლისას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ზიანი არ უნდა მიადგეს.

ასე რომ, ურთიერთქიშპობის დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესები არ უნდა დაიჩრდილოს. ხოლო დიდგორი, მინდა ოპოზიციის ზოგიერთ ლიდერს შევახსენო, სულაც არ გახლავთ წამდაუწუმ ამა თუ იმ კონტექსტში მოსახსენიებელი და სასპეკულაციო თემა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

### შემოწირულობები ეროვნული საბჭოსათვის

**გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი საზოგადოებას შემოწირულობების გაღებისკენ მოუწოდებს.**

**ამის შესახებ კობა დავითაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**როგორც მან აღნიშნა, იმისთვის, რომ ეროვნულმა საბჭომ აკეთოს ერთი საქმე საჭიროა თანხები, რისი იმედიც მოსახლეობისგან აქვთ.**

**დავითაშვილის ინფორმაციით, „თიბისი ბანკში“ გახსნილია „კონსერვატიული პარტიის“ ანგარიში, რომლის ნომერიც არის 700804. შემოწირულობების გადარიცხვა მოქალაქეებს სწორედ ამ ანგარიშზე შეეძლებათ.**

**ეს თანხები გვჭირდება იმისათვის, რომ ვაკეთოთ ხალხის საქმე, ვაკეთოთ ის, რაც სჭირდება ჩვენ მოსახლეობას, – განაცხადა კობა დავითაშვილმა და დასძინა, რომ სიამოვნებით მიიღებენ არა მარტო თანხებს, არამედ თბილ ტანსაცმელს, კარვებს და ასე შემდეგ.**

**დავითაშვილის განცხადებით, უნდა გაშალონ კარვები, რათა მოხდეს მოშიმშილეების გარემო პირობებისაგან დაცვა, ამისთვის კი ოპოზიცია დამატებითი ნებართვების აღებას არ აპირებს.**

**მერიისაგან აქციების ჩატარების ნებართვა 22 თებერვლამდე გვაქვს აღებული, ხოლო შემდეგ შევიტანთ განაცხადს ამ ვადის გაგრძელების შესახებ, – აღნიშნა დავითაშვილმა.**

**იმ შემთხვევაში, თუ მემორანდუმში არსებული პუნქტები დაკმაყოფილდება, შიმშილობის აქცია, სავარაუდოდ, შეწყდება და ოპოზიცია მოლაპარაკებების ფორმატს დაუბრუნდება.**

### დაიწყო მოშიმშილეთა რეგისტრაცია

**ერთიანმა ეროვნულმა საბჭომ მოშიმშილეთა რეგისტრაცია დაიწყო.**

**ამის შესახებ პარტია „თავისუფლების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ განაცხადა.**

**მისი თქმით, თბილისის მასშტაბით მოშიმშილეთა რეგისტრაცია იწარმოებს შემდეგ მისამართებზე: პარტია „თავისუფლების“ ოფისში, რუსთაველის 37; „კონსერვატულ პარტიაში“, აღმაშენებლის 41. „საქართველოს გზის“ ოფისში, ჭოველიძის 14; „ქართული დასის“ ოფისში, ლაღიძის 6 და „ხალხის პარტიის“ ოფისში, კანდელაკის 47 ნომერში.**

**როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ აღნიშნა, რეგისტრაცია იწარმოებს ყოველდღე, 10-დან 18.00 საათამდე.**

**რაც შეეხება რეგიონებს, ამის შესახებ დამატებით ინფორმაციის გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები მოგვიანებით გაავრცელებენ.**

**ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრები განსაკუთრებულ მხარდაჭერას სთხოვენ იმ ადამიანებს, რომლებიც მოშიმშილეთა დამცველებად უნდა დარეგისტრირდნენ და უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება.**

**გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერების შესახებ, რომლებიც მოქალაქეებთან ერთად გამოაცხადებენ შიმშილობას, ინფორმაცია უახლოეს ხანში გავრცელდება.**

ინტერპრესნიუსი

● ოპოზიციამ 22 თებერვალს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი აქციები დაგეგმა. ოპოზიციის მტკიცებით, 22 თებერვლიდან აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და თბილისის ჩათვლით საქართველოს არაერთ ქალაქში "კარვების ქალაქები" გაიშლება

№ 31. სამშაბათი, 19 თებერვალი, 2008 წელი.

◎ ინფორმაცია

## ბაღაფში და კოკოითი ერთ ხმაზე ქღურტულებენ

უახლოეს მომავალში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარების თხოვნით რუსეთის ფედერაციას, დსთ-ს წევრებსა და გაეროს მიმართავენ. ოს სეპარატისტთა ლიდერის ედუარდ კოკოითის აზრით, სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გაცილებით მეტი უფლება აქვს, ვიდრე კოსოვოს, რომელიც პარლამენტმა კოსოვოს დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაცია მიიღო.

კოკოითის აზრს სრულად ეთანხმება აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში.

კოსოვოში არსებული სიტუაცია პრეცედენტია და არ შეიძლება საუბარი მიმდინარეობდეს მის უნიკალურობაზე. უახლოეს მომავალში აფხაზეთი მიმართავს რუსეთის ფედერალურ საკრებულოს, გაეროს უშიშროების საბჭოს და მისი დამოუკიდებლობის აღიარებას სთხოვს, – აცხადებს სერგეი ბაღაფში.

მისივე თქმით, საუბრები კოსოვოს უნიკალურობის შესახებ, მხოლოდ, ორმაგი სტანდარტების გამოვლინებაა და ამგვარი პოლიტიკა საერთაშორისო სამართალს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

აშშ-სა და რიგი ევროპული ქვეყნების პოლიტიკის მიუხედავად აფხაზეთი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას მაინც გააგრძელებს, – აცხადებს ბაღაფში რუსულ მედიასთან საუბრისას.

თავის მხრივ, ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი დასძენს, რომ ის, რაც კოსოვოში განვითარდა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 17 წლის წინ მოხდა, – განაცხადა კოკოითიმ და დასძინა, რომ სამხრეთ ოსეთიც აფხაზეთის მსგავსად უახლოეს მომავალში მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას და დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვს.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ოპოზიცია



*ოპოზიციამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები შეწყვიტა და პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია გამართა, რომელზეც ოპოზიციის შემდგომი გეგმები გამოცხადდა. ოპოზიციამ 22 თებერვალს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი აქციები დაგეგმა. ოპოზიციის მტკიცებით, 22 თებერვლიდან აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და თბილისის ჩათვლით საქართველოს არაერთ ქალაქში "კარვების ქალაქები" გაიშლება.*

*იმაზე, თუ რამდენად რეალურია პოლიტიკური პროცესის კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გამოსვლის ალბათობა, „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.*

# თუ ხელისუფლება სიტუაციას ადეკვატურად აფასებს, კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას

**– როგორ შეაფასებდით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების შეწყვეტას, თქვენი ვარაუდით, მოლაპარაკებების ყველა რესურსი ამოწურულია?**

– როგორც ერთი, ისე მეორე მხარე მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებების შეწყვეტა ცუდია, ანუ მოლაპარაკება ორივესთვის რჩება სასურველად. უბრალოდ ოპოზიციას პრეტენზიები აქვს მოლაპარაკების პროცესის მიმართ, თორემ თავისთავად მოლაპარაკებაზე უარი არც ოპოზიციას უთქვამს, რაც პრინციპში ტოვებს შანსს, რომ თუ ხელისუფლების მხრიდან რაღაც ნაბიჯები გადაიდგმება, ვფიქრობ, მოლაპარაკებები მაგიდასთან განახლდება.

**– თუმცა, ოპოზიციამ 22 თებერვალს ფართომასშტაბიანი აქციები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაგეგმა. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია პოლიტიკური პროცესის კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გამოსვლის ალბათობა?**



– კონსტიტუციური კალაპოტიდან პოლიტიკური პროცესის ამოვარდნის ალბათობები ძალიან დიდია, როდესაც ამ მასშტაბის პროცესებთან გვაქვს საქმე. მაგრამ ბოლო პერიოდში საპროტესტო აქციებმა ისეთი სახე მიიღო, რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ეს პროცესები კალაპოტიდან ისე ადვილად არ ამოვარდება, როგორც სხვა ქვეყნებში. ანუ, ლიდერების მიერ შემოთავაზებულ ნაბიჯებს ხალხი ძალიან ადვილად იზიარებს, ამიტომ ვიმედოვნებ, სტიქიურ მოვლენებში გადასვლის ალბათობა ნაკლებია.

**– თქვენი აზრით, ხელისუფლება მზადაა შეასრულოს მის მიერვე შემუშავებული მემორანდუმის მუხლები?**

– მემორანდუმის მიმართ ოპოზიციას პრეტენზია კონკრეტიკაზე ჰქონდა, ოპოზიცია მემორანდუმის ზედმეტ აბსტრაქტულობას უჩიოდა და აღნიშნავდა, რომ მასში არ ჩანს კონკრეტული ნაბიჯის გადადგმის ვადები. კონკრეტიკას რაღა უნდა, ბოლოს და ბოლოს ამ ხელისუფლებამ ორ დღეში კონსტიტუაცია ოპერატიულად შეცვალა, თანაც ისე, რაც იმ მომენტისთვის საჭიროდ მიაჩნდა. თუ კანონის შეცვლა საჭიროა, უნდა შეცვალოს, თუ პიროვნება უშლის ხელს, პიროვნება შეცვალოს და ა.შ. ეს ხელისუფლება შევარდნაძის ხელისუფლებისგან სწორედ ოპერატიულობით გამოირჩევა და ოპერატიულობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მცირე დროში ბევრი რამის გაკეთება შეუძლია.

**– ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციას პოპულიზმში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ოპოზიციას საპროტესტო ელექტორატის შენარჩუნება აქციების გაგრძელებით სურს, თქვენ იზიარებთ ასეთ მოსაზრებას?**

– ოპოზიციას რომ ელექტორატის შენარჩუნების ინტერესი ჰქონდეს, გასაკვირი არაა, მაგრამ თუ ამას ხედავ და ფიქრობ, რომ საარჩევნო კამპანია პრაქტიკულად დაწყებულია, მაშინ ნუ მისცემ ასეთი ნაბიჯის გადადგმის საბაბს. ეს არ არის იმის გამართლება, რომ გაჭიანურდეს პროცესები, პირიქით, თუკი ამას ხვდება ხელისუფლება, მაშინ მის მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები ოპოზიციის განიარაღების საშუალება იქნება და მხოლოდ კომენტარების გაკეთება შედეგს არ მოიტანს, ეს გაღიზიანებას გამოიწვევს.

**– თქვენ, პრაქტიკულად შეწყვეტილი დიალოგის აღდგენის იმედი გამოთქვით, რას ეფუძნება თქვენი ოპტიმიზმი?**

– იმედი მაქვს, დიალოგის რეჟიმიდან გამოსვლას არც ერთი და არც მეორე მხარე ისურვებს. მოლაპარაკებების განახლებისათვის არ გამოვრიცხავ ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. თუკი ხელისუფლება ადეკვატურად აფასებს სიტუაციას, მაშინ მან კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას.

**კობა ბენდელიანი**

◎ თვალსაზრისი

## აკაკი ასათიანი: ვაშინგტონს გალახული სააკაშვილი ურჩევნია

(მეორე გვერდიდან)

**– ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ ხელისუფლებას და ოპოზიციას ერთი ძალა ვაშინგტონიდან მართავს?**

– ვერ გეტყვით, თუმცა არ მომწონს დღე და ღამ იმ ელჩებთან სიარული, რომლებმაც გაყალბებული არჩევნები დემოკრატიულად ცნეს. თუ ოპოზიცია ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა, ისინი კი იძახიან, რომ პრეზიდენტი სააკაშვილია, რატომღა დარბიან მათთან? სად არის ლოგიკა? ვფიქრობ, გადამწყვეტი ძალა ამ ქვეყნის მოსახლეობაა, და არა რომელიმე საელჩო.

**– თუ ფლობთ ინფორმაციას, როგორ აფასებენ ამერიკის ან დასავლეთის ქვეყნები მიხეილ სააკაშვილს?**

– ასე დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, თუმცა გარკვეულ ხალხს, იგივე ვაშინგტონში, რა თქმა უნდა, გალახული სააკაშვილი ურჩევნიათ, რადგან სამართავად იოლია. როცა სააკაშვილი 95-პროცენტიანი პრეზიდენტი იყო, ცოტა ამბიციურად ეჭირა თავი და შეკამათებასაც უბედავდა. გახსოვთ ალბათ მისი განცხადება – მე შევარდნაძე არა ვარ, ბეიკერის ზარს დაველოდოო. სხვათა შორის, ბოლოს შევარდნაძემაც არ უპასუხა ბეიკერის ზარს და რაც დაემართა, ყველასთვის ცნობილია. ახლა ასე აღარ ლაპარაკობს, რადგან „51 პროცენტიანი" პრეზიდენტია და მხოლოდ და მხოლოდ მათ დასტურზე „დგას". ლოგიკურია, რომ მათ ეს ხელს აძლევთ. ისინი, თავიანთი მიზნების მიღწევას მის ხელში ფიქრობენ. ლოგიკა ამაშია, მართალია ჩემთვის მიუღებელი, მაგრამ – გასაგები. ჩვენმა ხალხმაც უნდა გააცნობიეროს, რომ აუცილებელია ხელისუფლებაში იმ ადამიანების მოსვლა, რომლებიც დამოუკიდებელ პოლიტიკას განახორციელებენ.

**– დაბოლოს, როგორ შეაფასებთ ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილს? იყო თუ არა ეს პოლიტიკური მკვლელობა და გამოიწვევს თუ არა საქართველოში დესტაბილიზაციას?**

– ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების გამო დიდ გულისტკივილს გამოვხატავ. მას დიდი პოტენციალი ჰქონდა და თავისი ქვეყნისთვის ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. ძალიან სამწუხაროა, რომ მას, არამც თუ რაიმეს კეთების საშუალება არ მისცეს, ასეთი ტრაგიკული დასასრულიც ერგო. გარემოებების გამო ვერაფერს ვიტყვი, რადგან ამისთვის გაცილებით მეტი მონაცემია საჭირო. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს მაინც პოლიტიკური სიკვდილია, რადგან, როცა პოლიტიკაში მონაწილე კაცი კვდება, ის მაინც პოლიტიკური მოვლენაა.

ესაუბრა
**სოფიო გოგლიძე**

◎ პროტესტი

## აქცია ახალი მინისტრის ყურადსაღებად

**საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ**

**ამა წლის 18 თებერვალს საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობის წინ გამართა საპროტესტო აქცია და შესაბამისი მიმართვა გაუგზავნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გია ნოდიას. საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის თავმჯდომარე, პროფესორი ზურაბ გაგნიძე, რომელმაც საქართველოში დღეს განვითარებული მოვლენები შეადარა იოანეს გამოცხადებაში შექმნილ ვითარებას. პარტიის თავმჯდომარემ მინისტრს მოუწოდა დიალოგისკენ. ეროვნული იდეოლოგიის პარტიის მიმართვაში ჩამოყალიბებულია შემდეგი მოთხოვნები:**

**აღდგეს ეროვნული იდეოლოგია თავის კანონიერ უფლებებში, როგორც განათლების სისტემაში, ისე მთელ ქვეყანაში;**

**აღდგეს განათლების სისტემაში ეროვნული იდეოლოგიის კათედრები, რომლებიც ჩვენი ინიციატივით დაარსდა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას დროს;**

**აღადგინეთ ის ეროვნულ-ინტელექტუალური კადრები, რომლებიც თქვენ განდევნეთ განათლების სისტემიდან ახლო წარსულში;**

**ოფიციალურად დაგმეთ მსოფლიო ფუნდამენტალიზმი და ტერორიზმი, მათ შორის ყველაზე აგრესიული ფორმა – სოროსული ფუნდამეტალიზმი.**

**ოფიციალურად აღიარეთ ეროვნული იდეოლოგია.**

# თემა

**სამწუხაროდ, ძნელია იმის თქმა, რამდენად შეძლებს რუსეთი, უარი თქვას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გატარებული მცოცავი ანექსიის პოლიტიკაზე. ცხადია, რუსეთის საგარეო პოლიტიკა რუსეთში არსებული პოლიტიკური მმართველობის პირობებში ჩამოყალიბდა და ვიდრე იგი არ შეიცვლება, დიპლომატიაში რადიკალური ცვლილებები არ მოხდება**



## რა იქნება კოსოვოს შემდეგ?

*რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების პერსპექტივებზე და იმაზე, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ აღიარებს თუ არა რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, „ინტერპრესნიუსი" მოსკოვის კარნეგის ცენტრის ანალიტიკოსს, ლიბერალური შეხედულებებით გამორჩეულ პროფესორს ლილია შევცოვას ესაუბრა.*

*შევცოვას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რუსული პოლიტელიტა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში დაუფიქრებელ და რიტორიკულ განცხადებებს ხშირად აკეთებდა, იგი საკმარისად პრაგმატულია, რის გამოც კრემლი არასოდეს დაუჭერს მხარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. მისივე თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთშიც, ქართველებშიც და რუს სამხედროებშიც რადიკალურად განწყობილი ჯგუფები საკმარისადაა, იგი კონფლიქტურ რეგიონებში სრულად არ გამორიცხავს ინციდენტებს, რომლებსაც შეუძლია ვითარების დაძაბვა და რეგიონში არასტაბილური სიტუაციის შექმნა.*

*ანალიტიკოსი გამოთქვამს რუსი ლიბერალების წუხილს იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებას აფხაზური და სამხრეთ ოსური კონფლიქტების მოგვარების გაიოლებისათვის კონკრეტულ ნაბიჯები არ გადაუდგამს და არაფერი გაუკეთებია, რათა საქართველო ნორმალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო და რუსეთს თავისი წვლილი შეეტანა კავკასიაში სტაბილურობის მიღწევაში.*

*„სამწუხაროდ ძნელია იმის თქმა, რამდენად შეძლებს რუსეთი, უარი თქვას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გატარებული მცოცავი ანექსიის პოლიტიკაზე. ცხადია, რუსეთის საგარეო პოლიტიკა რუსეთში არსებული პოლიტიკური მმართველობის პირობებში ჩამოყალიბდა და ვიდრე იგი არ შეიცვლება, დიპლომატიაში რადიკალური ცვლილებები არ მოხდება", — აღნიშნა ლილია შევცოვამ.*

*შევცოვა მიესალმება რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის დაწყებულ მოლაპარაკებებს ეკონომიკურ საკითხებზე და ვარაუდობს, რომ ეკონომიკური ბლოკის საკითხების გადაჭრის შემდეგ მხარეები უფრო რთულ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრას შეეცდებიან.*

**— თქვენი აზრით, აღიარებს თუ არა რუსეთი სოხუმისა და ცხინვალის თბილისისაგან დამოუკიდებლობას და როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები?**

— სცენარი, რომლითაც სავარაუდოდ კოსოვოს ირგვლივ პროცესები განვითარდება, სულაც არ არის საუკეთესო და ოპტიმიზმის საფუძველს არ ტოვებს. მიუხედავად ამისა, კოსოვოში სტატუსკვოს შენარჩუნება რომ შეუძლებელია, ესეც ცხადია. ის, რომ რუსეთმა ვერ შეძლო კოსოვოს კონფლიქტთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობისათვის საკუთარი ეფექტიანი გადაწყვეტილების შეთავაზება და ბოლომდე ჯიქურად იცავდა თავის პოზიციას, შეიძლება მოსკოვს რუსული დიპლომატიის დამცირებად შემოუბრუნდეს, ვინაიდან რუსეთს კოსოვოს საკითხზე მიმდინარე პროცესზე რეალური ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია. ვფიქრობ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და პრეზიდენტმა პუტინმა საკმაოდ მკვეთრად გასცეს პასუხი იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს რუსეთის პოზიციაზე კოსოვოს აღიარება. მიმაჩნია, მათ სავსებით ნათლად თქვეს, რომ რუსეთი ახლა მზად არ არის და არც აპირებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. მთლიანობაში რუსული ელიტა დაუფიქრებელი და რიტორიკული განცხადებების მიუხედავად, საკმარისად პრაგმატულია, ამიტომ კრემლი არასოდეს დაუჭერს მხარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.

ამასთან, ჩვენ არ შეიძლება გამოვრიცხოთ სიტუაციურად არასასურველი მომენტები. არიან გარკვეული ძალები არა მარტო უღიარებელ რესპუბლიკებში, საქართველოშიც, რუსეთში სამხედროების სახით, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარებიან და რადიკალური მოქმედებებისადმი მიდრეკილებას ავლენენ. სრულიად არ გამოვრიცხავ ინციდენტებს, რომლებსაც შეუძლია ვითარების დაძაბვა და რეგიონში არასტაბილური სიტუაციის შექმნა. ეს ჩვენ მოსკოვში ძალიან გვაფიქრებს.

რუსეთის ლიბერალებს ძალიან აწუხებთ ის გარემოება, რომ რუსეთის ხელისუფლება აფხაზური და სამხრეთ ოსური კონფლიქტების მოგვარების გაიოლებისათვის კონკრეტულ ნაბიჯებს არ დგამს. რუსეთს შეუძლია გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც საქართველოს ხელს შეუწყობს, ჩამოყალიბდეს ნორმალურ სახელმწიფოდ და თავის წვლილს შეიტანდა საერთოდ კავკასიის რეგიონში სტაბილიზაციის მიღწევაში.

**— ლავროვისა და პუტინის განცხადებების მიუხედავად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთი მცოცავი ანექსიის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას აგრძელებს. თქვენი აზრით, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნების პოლიტიკა და კიდევ ერთი, თქვენი შეფასებით, რა შეიძლება ვიგულისხმოთ პუტინის განცხადებაში, რომლის თანახმადაც რუსეთს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით „საკუთარი გეგმა აქვს მომზადებული".**

— ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს არსებული ვითარება. ვიცი, რომ რუსი ბიზნესმენები აფხაზეთის სანაპიროში ფინანსებს დებენ. აფხაზეთში შესვლისას რუსული ბიზნესი იქ დაწესებული თამაშის წესების პრინციპით ხელმძღვანელობს. ყველამ იცის, რომ ეს წესები საბოლოო არაა. მიუხედავად ამისა, იქ შესული ბიზნესმენები იმედოვნებენ, რომ უკვე არსებული თამაშის წესები, რომლითაც ისინი აფხაზეთში შევიდნენ, არ შეიცვლება.

სამწუხაროდ, ძნელია იმის თქმა, რამდენად შეძლებს რუსეთი, უარი თქვას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გატარებული მცოცავი ანექსიის პოლიტიკაზე. ცხადია, რუსეთის საგარეო პოლიტიკა რუსეთში არსებული პოლიტიკური მმართველობის პირობებში ჩამოყალიბდა და ვიდრე იგი არ შეიცვლება, დიპლომატიაში რადიკალური ცვლილებები არ მოხდება.

თუ რა იგულისხმა პრეზიდენტმა პუტინმა „მომზადებულ გეგმაში", მხოლოდ კრემლის ჩინოსანთა ვიწრო წრემ იცის, მაგრამ ნათელია, რომ იგი გაუხმაურებელი დიდხანს ვერ დარჩება და უახლოეს ხანებში ცხადი გახდება. ვითარებაში, როცა რუსეთის პოლიტიკური ელიტა ქვეყნის მოსახლეობის კონსოლიდირებას თავისი მეზობლებისადმი სიძულვილის გაღვივებით ცდილობს, რეალური პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია. სევდის მომგვრელია სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით, ორი წელია რუსეთის ძირითად მტრებად ესტონელები და ქართველები ითვლებიან. უკრაინელები ასეთებად აღარ მიიჩნევიან. სამწუხაროდ, ვერაფრით გაგახარებთ. არჩევნების შემდეგ ჩვენ არა ძველი, მაგრამ მაინც განახლებული რეჟიმი გვეყოლება და ჩემი პროგნოზით, თუ სერიოზული ძვრები არა, ბევრი საკითხისადმი დამოკიდებულება შეიცვლება.

ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა მომავალი პრეზიდენტი მედვედევი თავისი პოზიციების კონსოლიდირებას და თავისივე რეჟიმის გასაძლიერებლად საკუთარი ბაზის შექმნას და რა ხარისხით გაუჩნდება მას სხვა საგარეო პოლიტიკური მისწრაფებები და ორიენტირები.

დავოსისა და მოსკოვის ეკონომიკურ კონფერენციებზე რუსეთის პოლიტელიტის წარმომადგენლებმა ჩუბაისმა, კუდრინმა და გაიდარმა მკვეთრად გააკრიტიკეს რუსეთის საგარეო პოლიტიკა. მართალია ეს ჯერ მხოლოდ მოსკოვის ბრიტანეთთან წარმოებულ პოლიტიკას ეხებოდა, მაგრამ ის, რომ კრემლის ელიტის პოლიტიკოსებმა პირველად გააკრიტიკეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, ფაქტია. მათი აზრით, წარმოებული საგარეო პოლიტიკის გამო რუსეთს ძალიან დიდი საფასურის გადახდა მოუწევს. ვნახოთ, რამდენად პოპულარული გახდება ეს ხაზი პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის.

**— პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში რუსეთ-საქართველოს შორის აღდგება საჰაერო მიმოსვლა, რუსეთი მოხსნის საქართველოსთვის დაწესებულ ეკონომიკურ ბლოკადას და მიღწეულია შეთანხმება, ფსოუზე და რიკოთის უღელტეხილზე საბაჟო პუნქტების გახსნის შესახებ. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება და შეეხება თუ არა ეს პროცესი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს?**

— ვლადიმერ პუტინმა პრეზიდენტის რანგში ჩატარებულ თავის უკანასკნელ პრესკონფერენციაზე საქართველოზე და ამ ქვეყნის პრეზიდენტზე საკმაოდ მეგობრულად განწყობილი განცხადებები გააკეთა, რაც პოზიტიურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მოსკოვში ვრცელდება ინფორმაცია, რომ მეორე და მესამე ეშელონის ქართველ და რუს პოლიტიკოსებს შორის კონსულტაციები მიმდინარეობს. ვვარაუდობ ეკონომიკური ბლოკადის მოხსნის საკითხის გადაწყვეტას.

თუ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლება დაიწყებს იმ პლატფორმის გაფართოებას, რომელ საკითხებზეც შეთანხმების მიღწევა ადვილი, აუცილებელი და გარდაუვალია, ეს ეხება ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას, საქონლისა და მოქალაქეთა თავისუფალ მიმოსვლას, ამის შემდეგ შეიძლება უფრო რთულ საკითხებზე მუშაობის დაწყება, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უკავშირდება. თუ ისევ ამ საკითხებით დაიწყეს ურთიერთობების გამოსწორებაზე ფიქრი, ვერაფერს მივაღწევთ. შექმნილ ვითარებაში აუცილებელია ურთიერთობების მოწესრიგებისათვის ნაბიჯ-ნაბიჯ მოქრაობა.

ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილის მოსკოვში ვიზიტის დროს ბევრი რამ გაირკვევა. ახლა, როცა დაპირისპირების ემოციური ფონი გაცილებით ნაკლებია და პუტინიც და სააკაშვილიც პრაგმატიზმს ავლენენ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეკონომიკური საკითხები გადაწყდება. ამის შემდეგ რუსეთს ახალი პრეზიდენტი ეყოლება და სააკაშვილს მედვედევთან საუბარი მოუწევს.

**— საქართველოში გამოთქვამენ აზრს, რომ თბილისთან ურთიერთობების ნაწილობრივ გაუმჯობესებით, პუტინი თავის მემკვიდრე მედვედევს უიოლებს საქმეს და რომ მოსკოვი თბილისთან ურთიერთობაში მხოლოდ ტაქტიკას ცვლის, თორემ სტრატეგია იგივე დარჩება.**

— თუ პრეზიდენტი პუტინი საქართველოსთან მიმართებაში თავის მემკვიდრეს ამოცანას გაუიოლებს, ეს მისი მხრიდან კეთილშობილური ნაბიჯი იქნება. მედვედევი პუტინისგან მძიმე მემკვიდრეობას მიიღებს. ეს ეხება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას. თუ პუტინი მისი პრეზიდენტობის დარჩენილ ორ თვეში შეძლებს რაიმეს გადაწყვეტას, ეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებას პოზიტიურად წაადგება. პუტინმა ახლა შეძლო უკრაინასთან ე.წ. გაზის ომის გადადება, რაც უდავოდ პოზიტიური ნაბიჯია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და იმედი ვიქონიოთ, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები მართლაც გაუმჯობესდება.

**კობა ბენდელიანი**

# ლილია შევცოვა: კრემლი არასოდეს დაუჭერს მხარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას



ასევე მნიშვნელოვანია, რომ სოჭის ოლიმპიადა ახლოვდება და რუსეთს აბსოლუტური სიმშვიდე სჭირდება სამხრეთ საზღვართან. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით კი ის კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას, იმიტომ, რომ საქართველო შეეცდება აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის განახლებას...



**რა იქნება კოსოვოს შემდეგ?**

*კოსოვოს მთავრობის მიერ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას საერთაშორისო გამოხმაურება უკვე მოჰყვა. ბუნებრივია, ოფიციალური სერბეთი ამ ფაქტმა ძალიან გააღიზიანა, მაგრამ არც სხვა ქვეყნებისთვის აქვს მას ნაკლები მნიშვნელობა. მათ შორის საქართველოსთვისაც, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ჯერაც არ მოუგვარებია და რუსეთიც, კოსოვოს პრეცედენტის ანალოგიურად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებით გვემუქრება.*

*ასეთ დროს რა უნდა გააკეთოს საქართველომ და მოვლენათა როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ, ამ საკითხზე გავესაუბრეთ ექსპერტ არჩილ გეგეშიძეს:*

# ეს უფრო შანტაჟია, ვიდრე რეალური საფრთხის შემცველი

— გასაგებია აჟიოტაჟი კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხის გამო. ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ ჩვენ მაინცდამაინც შიშის საფუძველს ვერ გვიქმნის. რუსეთი კოსოვოს პრეცედენტს საქართველოში არ განახორციელებს. ეს შეფარული მუქარა უფრო შანტაჟია, ვიდრე რეალური საფრთხის შემცველი. რუსი პოლიტიკოსები კოსოვოს პრეცედენტის საქართველოში გამოყენების მუქარით ცდილობენ დაათმობინონ ჩვენს ხელისუფლებას სხვადასხვა პრინციპულ საკითხში; ეს იქნება ვაჭრობა-ეკონომიკა თუ კონფლიქტები.

**— რეალურად, რუსეთს არ უნდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება?**

— ბუნებრივია, რუსეთს ნამდვილად ხელს არ აძლევს დამოუკიდებელი აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი". ჯერ ერთი იმიტომ, რომ მაშინ კავკასიაში გაძლიერდება თურქეთის ფაქტორი და მუსლიმანური ელემენტები. მეორეც, ამით რუსეთი სამუდამოდ გადაიკიდებს საქართველოს და ფაქტობრივად მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იქნება. ამის მიუხედავად, რუსეთი მაინც ვერ დააბრკოლებს საქართველოს ნატოში შესვლას. შეიძლება რაღაც გარკვეული დროით გადადება მოახერხოს კიდეც, მაგრამ ჩვენს ტერიტორიაზე სხვა რომელიმე ქვეყნის სამხედრო ბაზის განლაგებას მაინც ვერ შეაფერხებს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სოჭის ოლიმპიადა ახლოვდება და რუსეთს აბსოლუტური სიმშვიდე სჭირდება სამხრეთ საზღვართან. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით კი ის კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას, იმიტომ, რომ საქართველო შეეცდება აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის განახლებას...

**— ერთი სიტყვით, თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთის მუქარა შიშის საფუძველს არ გვიქმნის?**

— გამოსარიცხი არაფერია, მაგრამ ლოგიკური მსჯელობით ვითარება ასეთია — პუტინის პირობებში რუსეთს თანამიმდევრული პოლიტიკა აქვს და ის ცდილობს ეროვნული ინტერესების დაცვას.

**— როგორ უნდა მოიქცეს საქართველო კოსოვოსთან მიმართებაში, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს?**

— არ უნდა ვცნოთ კოსოვოს დამოუკიდებლობა იმიტომ, რომ ჩვენც ანალოგიური პრობლემა გვაქვს.

**— მაგრამ კოსოვოსა და აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონის ფაქტორები ხომ განსხვავებულია?**

— ეს, რაც შეეხება მათ ისტორიას, დემოგრაფიულ მდგომარეობას და ა.შ. მაგრამ რუსეთი ჩვენს მანიპულირებას ახდენს კოსოვოს სტატუსის განსაზღვრის მეთოდით. ის ამბობს, რომ თუ შეიძლება კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება გაეროს გვერდის ავლით, ასევე შეიძლება აფხაზეთისა და ოსეთის სტატუსის განსაზღვრაო.

ამიტომ, როგორც რუმინეთი — ნატოს წევრი ქვეყანა ამ საკითხს მხარს არ უჭერს, ჩვენც შეგვიძლია გავჩუმდეთ და ვთქვათ, რომ ეს პირდაპირ უკავშირდება ჩვენს პრობლემას, ჩვენს სასიცოცხლო ვითარებას და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, კოსოვოს დამოუკიდებლობას მხარს ვერ დავუჭერთ.

ესაუბრა
**თეა მოსია**

№ 31. სამშაბათი, 19 თებერვალი, 2008 წელი.

# რუსეთმა ყურად არ უნდა იღოს, აღიარებს ამერიკა აფხაზეთის დამოუკიდებლობას თუ არა



**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული კავკასიის კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე ვლადიმერ ზახაროვი აცხადებს, რომ წესით რუსეთმა ყურად არ უნდა იღოს, აღიარებს ამერიკა აფხაზეთის დამოუკიდებლობას თუ არა.**

„საქართველოსა და მის კონფლიქტურ რეგიონებს შორის კონფლიქტი ათწლეულებს მოიცავს. ჯერ კიდევ საბჭოთა დროს საქართველო გამუდმებით ცდილობდა ხელში ჩაეგდო აფხაზეთი და ეს მოახერხა მხოლოდ ნესტორ ლაკობას მოწამვლის შემდეგ, როდესაც სტალინმა და ბერიამ აფხაზეთი საქართველოს გადასცეს", — აცხადებს ზახაროვი და დასძენს, რომ 1992 წელს აფხაზეთში „შეჭრილმა ქართველმა ბოევიკებმა პირველი, რაც გააკეთეს იყო ის, რომ აფხაზური ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი დაწვეს, რათა აქ ყოველივე აფხაზურის კვალი წაეშალათ.

„ახლა კი, როდესაც საუბარია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, ფაქტი ერთია, აფხაზეთი არასოდეს იქნება საქართველოს ნაწილი, აფხაზხალხს ყველაფერი ახსოვს და ისინი დამოუკიდებლობას არ დათმობენ", — აცხადებს რუსი ექსპერტი.

მისი თქმით, რუსეთმა „ფეხებზე უნდა დაიკიდოს" ის, რომ აფხაზეთს აშშ არ ცნობს, მთავარი არის ის, რომ მას სხვა ქვეყნები, მათ შორის რუსეთი აღიარებენ.

„აფხაზეთი ჩვენი მეზობელია და იქ მოსახლეობის 80 პროცენტი ჩვენი მოქალაქეა. სხვათა შორის, ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ დროული განცხადება გააკეთა კოსოვოსთან მიმართებაში, ისეთი, რომ მერე არავის ზედმეტი კითხვები არ გაუჩნდეს. აშშ კოსოვოს მხოლოდ ერთი მიზეზით აღიარებს და სხვა დასავლური ქვეყნები მას იმიტომ ჰყვებიან, რომ იქ ნატოს უზარმაზარი ბაზაა განლაგებული. ამიტომაც ამერიკას არ სურს, რომ ეს ტერიტორია სერბეთს ეკუთვნოდეს", — აცხადებს ზახაროვი.

ექსპერტი აცხადებს, რომ აფხაზეთს რუსეთთან გაერთიანება სურს, მაგრამ ამ ეტაპზე ჯობია, იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს.

„თუკი დასავლეთი კოსოვოს მაინც აღიარებს, რუსეთი კი ამას არ გააკეთებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, ეს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ დონეს დაბლა დაწევს. გამოვა, რომ რუსეთი გამოიწვიეს, მან კი არავითარი რეაგირება არ მოახდინა", — აცხადებს კავკასიის კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე განაცხადა, რომ თუკი კოსოვო დამოუკიდებლობას გამოაცხადებს და მას მხარს დასავლური ქვეყნები დაუჭერენ, რუსეთი ფედერაცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მისამართით „სიტუაციას გადახედავს".

**„ХИ-ЭЙБ-ЭНИ".**

# ხელისუფლებამ კოსოვოს დამოუკიდებლობა არ უნდა აღიაროს

**გაერთიანებულმა ოპოზიციამ ხელისუფლების მიმართ საკუთარ მოთხოვნებს, შესაძლოა, კოსოვოს საკითხიც დაუმატოს.**

როგორც გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი, დეპუტატი ბიძინა გუჯაბიძე აცხადებს, კოსოვოს საკითხი არ ჩაიწერება მემორანდუმში, თუმცა, შეიძლება, ცალკე დადგეს და ოპოზიცია ხელისუფლებას მოსთხოვს, არ დაუჭიროს მხარი კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

მისივე თქმით, შესაძლებელია, საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკის გავლენით მხარი დაუჭიროს კოსოვოს დამოუკიდებლობას და ეს საკითხი ძალიან ცუდად შემოუტრიალდება ქვეყანას.

მართალია, კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტებს შორის არანაირი მსგავსება არ არსებობს, თუმცა მაინც აქვს კატალიზატორის როლი. კერძოდ, რუსეთმა, შესაძლოა, აფხაზეთში „საკუთარი მოქალაქეების დაცვა" გადაწყვიტოს, — მიიჩნევს დეპუტატი.

რაც შეეხება ქვეყანაში მიმდინარე შიდა პროცესებს, გუჯაბიძე გამორიცხავს, რომ შიდა პროცესებმა ხელი შეუშალოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმართვას, განსაკუთრებით კი კოსოვოსთან მიმართებაში.

ბიძინა გუჯაბიძე აცხადებს, რომ ეს პრობლემა საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა მოაგვაროს და გამორიცხულია, ქვეყნის შიგნით ოპოზიციის მოთხოვნებმა და თუნდაც შიმშილობის აქციებმა რაიმე გავლენა იქონიოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე.



# შეიძლება ნატოს იმედი დავკარგოთ

**პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის შეფასებით, ნატოს მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში, საქართველოს ნატოში გაწევრიანების მომხრეთა რიცხვი საგრძნობლად დაეცემა. რაც შეეხება რუსეთს, კრემლი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ოფიციალურად არ აღიარებს, მაგრამ განსაკუთრებით აფხაზეთთან ურთიერთობებს კიდევ უფრო გააღრმავებს.**

პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ოფიციალური მოსკოვი სოხუმისა და ცხინვალის თბილისისაგან გამოყოფას ოფიციალურად არ აღიარებს, მაგრამ რუსეთი აფხაზეთთან და ოსეთთან კონტაქტებს გააძლიერებს, რაც მას ამ კონფლიქტების გადაჭრის საკითხის დროში კიდევ უფრო გაწელვის საშუალებას მისცემს.

სოსო ცინცაძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არ აღიარებს და სოხუმთან და ცხინვალთან დიპლომატიურ ურთიერთობებს არ დაამყარებს, მოსკოვი ურთიერთობებს განსაკუთრებით აფხაზეთთან გააძლიერებს, რაც აფხაზეთში ინფრასტრუქტურისა და საერთოდ, ეკონომიკის განვითარებაზე და რუსული სამხედრო ძალის ყოფნის გაძლიერებაზე აისახება. მისივე თქმით, ამას ხელს სოჭში 2014 წელს დაგეგმილი ოლიმპიადაც შეუწყობს, რომლის ფონზეც აფხაზთა ლიდერს სერგეი ბაღაფშს რუსეთის მაღალი რანგის ჩინოვნიკები მაღალ დონეზე მიიღებენ.

პოლიტოლოგის შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ კოსოვოს დამოუკიდებლობას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მხარს ღიად დაუჭერს, ცხადი გახდება, რომ ნატო-სთვის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, რაც ჩვენ ნატოსთან მიმართებაში ყველაზე მეტად გვაინტერესებს, მთავარი არ ყოფილა. მისივე ვარაუდით, ამის შემდეგ საქართველოს მოსახლეობაში ნატოში გაწევრიანების მომხრეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდება და შეიძლება იგი 70 პროცენტიდან 20 პროცენტამდე დაეცეს.

**ინტერპრესნიუსი**

დრო

● ხელისუფლება საინვესტიციო ნდობის აღსადგენად და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში სტაბილურობის დაცვის გარანტიას მოითხოვს. ოპოზიცია და ეკონომიკური ექსპერტები კი ამას მთავრობის მხრიდან „გალმა შედავების“ პოლიტიკად მიიჩნევენ




## საკუთრება ხელშეუხებელია!

# ხელისუფლება ვითომ გონს მოეგო?

**ასეთი კითხვა აუცილებლად გაუჩნდება კაცს, თუ ის საკუთრებასთან მიმართებაში დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულებას თვალს მიადევნებს. დღევანდელზე ვამბობ, თორემ გუშინ რას აკეთებდა, იმას თვალხილული კი არა, ბრმაც კი შეამჩნევდა. მე შენ გეტყვი, მთავრობას გონიერება ეყოფოდა ან ზნეობა შეაწუხებდა, ურცხვად, ყაჩაღურად მიადგებოდა მეწარმეს, ბიზნესმენს, მესაკუთრეს, რასაც რეკეტით და მუქარით წაართმევდა, ხომ კარგი, რასაც ვერა, იმას ბულდოზერს მიაყენებდა და დაუნგრევდა.**

ასეთმა პოლიტიკამ (თუკი ამას პოლიტიკა შეიძლება დავარქვათ) რა შედეგი გამოიღო, გასული წლის ნოემბრისა და მომდევნო პერიოდის მოვლენებმა გვიჩვენა. უსამართლობითა და გაჭირვებით შეძრწუნებული ხალხის რისხვამ თავქარიანი და ყოყლოჩინა ხელისუფლება აიძულა, წელში მოკუნტულიყო, ქამელეონივით ფერი ეცვალა და საკუთარი ნებასურვილის საპირისპირო ჰანგზე ამღერებულიყო. და თანაც როგორ ჰანგზე – მთავრობა, რომელიც გუშინ მზად იყო კერძო მესაკუთრისთვის ტრაქტორივით გადაევლო, მყისიერად 90 გრადუსით შემოტრიალდა, ქონების წართმევით შეშინებულ მეპატრონეს თავზე ხელი გადაუსვა და დამშვიდება დაუწყო: ოღონდ დაწყნარდი და აშენებულს ხომ აღარ გავეკარებით და ასაშენებლად რამდენიმე წლის წინათ მიტაცებულ მიწებსაც დაგიკანონებ, მაღაზიასა და ბარს კი არა, გარაჟი რომ გარაჟია, იმასაც აღარ დაგინგრევო.

არადა ასეთ უკანონობასა და თვითნებობას ხელისუფლებას ადრე ვინ აიძულებდა? ნუთუ ძნელი იყო იმის მიხვედრა, რომ საკუთრების ხელყოფით მთავრობა ქვეყნის ეკონომიკას ანგრევდა, ხალხს მასობრივი უმუშევრობისა და სიღატაკისთვის სწირავდა და სახელმწიფო ბიუჯეტსაც აუნაზღაურებელ ზარალს აყენებდა?

ვფიქრობ, ამის დასტურად სხვა მრავალთაგან ერთი მაგალითის მოყვანაც საკმარისი იქნება. ყველას ახსოვს, შარშან აგვისტოში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაჟინებული (შეიძლება აკვიატებულიც დავარქვათ) მოთხოვნით, რუსთაველის გამზირზე №30-ში განთავსებული „სონი ცენტრი თბილისი“, კაფე „რუსთაველი“ და „ლაზერი 2 თბილისი“ დაკავებული ფართობიდან როგორი რიხით გამოასახლეს. მერედა რა მოიგეს? დამხრჩვალი კატა!

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, ამ სკანდალური საქმის გამო, კაფე „რუსთაველისა“ და „ლაზერი 2 თბილისის“ 50-პროცენტიანი წილის მფლობელი, „სონის“ სტრატეგიული პარტნიორი ამერიკული კომპანია უახლოეს მომავალში აპირებს ამერიკის საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ სარჩელის შეტანას. იქაური იურისტების მტკიცებით, საქმე 100 პროცენტით მოსაგებია, საქართველოსთვის კი დიდად წამგებიანი. გარდა იმ მილიონებისა, რომლის ანაზღაურებასაც ისინი ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოითხოვენ, ქვეყნის საინვესტიციო იმიჯიც მნიშვნელოვნად დაზარალდება.

მარტო ამ დანაკარგზე რომ იყოს ლაპარაკი, კიდევ რა უჭირდა. საქმე ის გახლავთ, რომ კორპორაცია „სონი“ ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე გეგმავდა სასაწყობო ბაზის გამართვას, საიდანაც ის ერთი მილიარდი დოლარის ტექნიკით დსთ-ის, კავკასიისა და აზიის ქვეყნებს მოამარაგებდა. აქედან, ბუნებრივია, სატრანზიტო გადასახადის სახით, საქართველოს ბიუჯეტი სოლიდურ თანხას მიიღებდა, რაც უკვე „ჩაილურის წყალს“ გაჰყვა. ამასთან ერთად, დაიკარგა 150-ზე მეტი სამუშაო ადგილი, და რაც ყველაზე მთავარია, საინვესტიციო მომავალი. მომხდარი ფაქტის შემდეგ დაზარალებულმა კორპორაციამ მიიჩნია, რომ საქართველოში თანხის დაბანდება სარისკოა და ფოთის პორტში განსახორციელებელ სოლიდურ ინვესტიციაზე უარი თქვა, „სონის“ სასაწყობო ბაზა აწ უკვე მეზობელ უკრაინაში განთავსდება.

აი, რამდენი რამ შეიძლება დაკარგოს ქვეყანამ საკუთარი ხელისუფლების უთაურობით, რომლის თაობაზეც ოპოზიცია, აი უკვე რამდენი წელია, მთავრობის მისამართით „საქებარ ეპითეტებს“ არ იშურებს. თუმცა ამ ბოლო დროს თავად ხელისუფლებასაც გაუჩნდა ოპოზიციის განსაქიქებელი მოტივი: შენ, ძმაო, მარტო ჩემ საგინებელს რომ ეძებ, – აცხადებს განაწყენებული მთავრობა, – აბა შენ თავსაც შეხედე. ეს ხალხი რომ დარაზმე და მთელი ქვეყანა ქუჩის აქციების მოედნად აქციე, როგორ ფიქრობ, ინვესტიციების შემოდინებას არ აფერხებს?

აქედან გამომდინარე, ხელისუფლება საინვესტიციო ნდობის აღსადგენად და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში სტაბილურობის დაცვის გარანტიას მოითხოვს. ოპოზიცია და ეკონომიკური ექსპერტები კი ამას მთავრობის მხრიდან „გალმა შედავების“ პოლიტიკად მიიჩნევენ და მას ადანაშაულებენ იმაში, რომ დღემდე ქვეყანაში ძირითადად საეჭვო წარმომავლობის, გაუმჭვირვალე ინვესტიცია შემოედინება, რომელსაც პრეზიდენტი და მისი გარემოცვა საკუთარი კეთილდღეობისთვის იყენებენ. თავად ბიზნესმენები, რა თქმა უნდა, ცდილობენ, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაში ერთგვარი წვლილი შეიტანონ, რაც არც დაუმალავთ ამას წინათ საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლებსა და ოპოზიციის რამდენიმე ლიდერს შორის გამართულ შეხვედრაზეც. როგორც გაირკვა, თავად სავაჭრო პალატაც არ უარყოფს იმ აზრს, რომ ბოლოდროინდელი აქციების წყალობით, ქვეყანაში კერძო საკუთრების ხელყოფის, ბიზნესის შევიწროების ფაქტები აშკარად შემცირდა, თუმცა სასურველი გარემოს შექმნამდე ჯერაც საკმაოდ შორსა ვართ.

აი იმის თაობაზე კი, რომ ოპოზიცია კონკრეტულ კომპანიებს ბოიკოტს უცხადებს და მოსახლეობას მოუწოდებს – მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე უარი თქვას, საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლებს განსხვავებული აზრი აქვთ. კერძოდ, ამ პალატის დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთ წევრს გიორგი ისაკაძეს მიაჩნია, რომ ამგვარი მიდგომა მიუღებელია. მისთვის ასეთი ტიპის კომპანიები და ბიზნესმენები უფრო მისაღებია, ვიდრე ისინი, რომლებიც ხელისუფლებას ჩუმად აფინანსებენ. მისი რეკომენდაციაა, ოპოზიციამ არ გამოყოს ცალკეული კომპანიები და არ დაყოს ისინი ხალხის მტრებად და კეთილმოსურნეებად. ყველაფერში უნდა იყოს თანაბარუფლებიანობა და მათ შორის ბიზნესშიც. ქვეყანაში არ უნდა არსებობდნენ პრივილეგიური და დაჩაგრული ბიზნესმენები.

პრობლემის ამგვარად გადაჭრაში, რა თქმა უნდა, გაუგებარი არაფერია. გაუგებარი და მიუღებელი სწორედ ის იყო, რასაც დღემდე ხელისუფლება აკეთებდა – ერთეულ ბიზნესმენებს, რომლებიც მის კორუფციულ ინტერესებს მაძღრისად კვებავდნენ, აპარპაშებდა, ხოლო დანარჩენებს უსამართლობისა და რეკეტის ულელქვეშ სულსა ხდიდა. ხალხმა თავის საპროტესტო აქციებით სწორედ ამ ულმერთობისა და სოციალური უკუღმართობის წინაშე გაილაშქრა. მთავრობას თუ სურს სიცოცხლე გაიხანგრძლივოს, ხალხის მოთხოვნას ცრუ დაპირებებითა და თაღლითური მაქინაციებით კი არა, გონს მოგებითა და რეალური საქმეებით უნდა უპასუხოს. სხვაგვარად ის ვერც საკუთრებას დაიცავს, ვერც ბიზნესს განავითარებს და ვერც ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის ფესვგადგმულ ეპიდემიას დაამარცხებს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ინფორმაცია

### ნუთუ ჩვენი მომავალი კოსოვოზეა დამოკიდებული?



**საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის შეფასებით, კოსოვოს მოვლენებთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო და რთული ეტაპი დაიწყო.**

**როგორც მიხეილ მაჭავარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, კოსოვოს პროცესები არ არის მარტივი მოვლენა, მაგრამ საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებაში არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი კავშირი არ არსებობს.**

**მისივე თქმით, ქვეყანა უნდა იყოს ძალიან ფრთხილად. მიხეილ მაჭავარიანმა მნიშვნელოვანი უწოდა მიხეილ სააკაშვილისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის 21 თებერვლისთვის დაგეგმილ შეხვედრასაც.**

**– საქართველო უნდა მოემზადოს, რათა კოსოვოს მოდელი და მისი დამოუკიდებლობის გამოცხადება ქვეყნის არაკეთილმოსურნეების მიერ საქართველოსთან მიმართებაშიც არ იყოს გამოყენებული, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.**

### საქართველოს მოქალაქეებს – თურქული სტიპენდიები

**თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ 2008-2009 სასწავლო წლისათვის საქართველოს მოქალაქეებს სტიპენდიები გამოუყო.**

**როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან იტყობინებიან, სტიპენდიები გამოყოფილია შემდეგ მიმართულებებზე: 20 (ოცი) – ორთვიანი – „თურქული ენისა და კულტურის საზაფხულო სტიპენდია“ (თურქული ენის კურსი); 8 (რვა) – რვათვიანი – „უმაღლესი სწავლების შემდგომი „მაძიებლის“ სტიპენდია (კანდიდატი უნდა ფლობდეს ბაკალავრის დიპლომს და არჩეული უნდა ჰქონდეს სამუშაო თემა); 3 (სამი) – „უმაღლესი სწავლების“ სტიპენდია (ბაკალავრი); (ერთი წელი ისწავლება თურქული ენა. თურქულ ენაში გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში კანდიდატი დაამთავრებს ოთხწლიან კურსს);**




**აპლიკანტების განხილვისას უპირატესობა მიენიჭებათ „მაძიებლის“ და „უმაღლესი განათლების მისაღები“ სტიპენდიების მოპოვებისთვის თურქული ენის მცოდნე კანდიდატებს. ხოლო „თურქული ენისა და კულტურის საზაფხულო კურსის“ გასავლელად – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თურქოლოგიის განყოფილების სტუდენტებს.**

### სწავლა, სწავლება და შეფასება

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სახელმწიფო ენის პროგრამის ფარგლებში, სამეცნიერო კონფერენციას მართავს თემაზე, „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები“.**

**როგორც განათლების სამინისტროდან იტყობინებიან, კონფერენცია 14-15 აპრილს გაიმართება, თუმცა მისთვის მზადება უკვე დაიწყო.**

**კონფერენციის თემაა – სწავლა, სწავლება და შეფასება. ორგანიზატორები მონაწილეობის მისაღებად იწვევენ მეცნიერებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართულის, როგორც დედაენისა და ქართულის, როგორც მეორე, უცხო ენის სწავლასთან, სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემატიკით.**

**ინტერპრესნიუსი**

# თავო ჩვენო...

● „სამართალი არის ზნეობის მინიმუმი, ზნეობა კი სამართლის მაქსიმუმია!!! – გთხოვთ, შვილებო და შვილიშვილებო, გაითავისეთ ეს ჭეშმარიტი ფრაზა



◉ გაუტიეს

## ვაშა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თინეიჯერებს!

### იუსტიციის „მამების“ ამაზრზენი ინსტრუქცია და კონსტიტუციის კიდევ ერთი ხელყოფა

**I**

**რამდენიმე დღის წინათ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის კანცელარიის მუშაკებმა (რომლებთანაც მადლობის გარდა, არაფერი მეთქმის!ქ გადმომცეს 10-გვერდიანი სასარჩელო განცხადების მაკეტი და 2-გვერდიანი „ინსტრუქცია“ ამ მაკეტის შევსების შესახებ.**

მაკეტი და ინსტრუქცია დაბეჭდილია უწვრილესი შრიფტით, რომლის წაკითხვა მხოლოდ გამადიდებელი შუშით შეიძლება! მაგრამ ეს „არაფერი“... „კონცერტი“ მისი წაკითხვის შემდეგ იწყება!

პატივცემულო მოსარჩელენო! გთხოვთ, მოთმინებით მომისმინოთ: საქმე შემდეგშია:

აქ იმისათვის, რომ თქვენ შეძლოთ სასარჩელო ფორმატის შევსება, უნდა შეიძინოთ 1500-ლარიანი კომპიუტერი!

ბქ უნდა შეისწავლოთ კომპიუტერზე მუშაობის წესები!

გქ შეისწავლოთ ინგლისური ენა! რადგან სხვაგვარად ვერ შეხვალთ ინტერნეტში და ვერ მოძებნით ვებ-გვერდზე ე.წ. „სუფრინ ქორთ.- წერტილი „ჯ“- ს!

დქ ზედმიწევნით კარგად უნდა შეისწავლოთ საქართველოს სამოქალაქო სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნორმები **(რომლის შესწავლას უნივერსიტეტში 5 წელი შევალიე!ქ**

ექ და, რაც მთავარია, უნდა გქონდეთ სამართლებრივი აზროვნების უნარი!...

**II**

**ინსტრუქციის შემდგენელთა „მენცარობა და კინტურმანტური“**

ეს მეგრული გამოთქმა ქართულად ასე ჟღერს, „მეცნიერება და ტექნიკა“...

მენცარობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ინსტრუქციის „კინტურმანტურზე“ ნამდვილად ვიტყვი „ორიოდ სიტყვას“. ინსტრუქციის ძალით კომპიუტერის ვებ-გვერდის მიხედვით შევსებული სარჩელის სისწორეს ამოწმებს კანცელარია და რაიმე უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, კანცელარიის უფლებამოსილი მოხელე (?!ქ თქვენ (ე.ი. მოსარჩელეს!ქ „მიგითითებთ უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ“.

ინსტრუქციის ეს „მოვარაყებული“ სტრიქონები მოქმედებაში ასე აღიქმება:

— მოსარჩელე ადვოკატი, რომელიც კანცელარიის მისაღების წინ „ოჩერედში“ დგას, თავისი რიგის მოსვლის შემდეგ, რასაც 30-40 წუთი სჭირდება, სარჩელს, მასზე თანდართული მასალებით, აწვდის 22-23 წლის კანცელარიის რიგით მუშაკს, მაგრამ იგი ცხადია თავის თავზე ვერ აიღებს რისკს შეამოწმოს შევსებული სარჩელის სიზუსტე...

ავანსცენაზე გამოდის „კანცელარიის უფლებამოსილი მოხელე!!!, რომელიც გაძლევთ „მითითებებს უზუსტობის აღმოსაფხვრელად“... ამ ე.წ. „შემოწმებას“ კიდევ 30-40 წუთი სჭირდება!... „ჰოდა „უფალი მოხელე“ უკანვე გიბრუნებთ თქვენს „ნაცოდვილარს“... კი მაგრამ „იუსტიციის მამებო, ვინ მოგცათ თქვენ უფლება მოსამართლის მანტია მოასხათ კანცელარიის მუშაკს და ხარვეზის შევსების ზეპირი განჩინების მიღების უფლება მისცეთ?

ეს ხომ სასამართლოს (მოსამართლისქ პრეროგატივაა, რომელიც სასამართლოს ვერდიქტით მთავრდება.

**III**

**უსაქმო კაცი „ერთ ადგილში“ მახათს იყრიდაო!**

ეს ქართული ანდაზა „სარჩელის შევსების ინსტრუქციის“ შემდგენლებზე ზედგამოჭრილია!

რაო, საქმე აღარა გაქვთ, ბატონებო, და მოგწყინდათ? კი ბატონო, თქვენი ნებაა... სადაც გინდათ მახათი იქ გაირჭვეთ, მაგრამ ხალხმა და ადვოკატებმა რა დავაშავეთ?! რატომ გვასწავლით იურისპრუდენციის ანაბანას? რაო, თქვენი „მითითებების“ მიღებამდე სასარჩელო განცხადებებს ვერ ვწერდით?!

და ბოლოს, ინსტრუქციის შემდგენელ თინეიჯერებს და მათ „მამებს“ ვთხოვთ გადაშალონ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 250-ე გვერდი (1996 წლის გამოცემაქ სადაც „ინსტრუქცია“ ასეა განმარტებული:

— ინსტრუქცია (ლათ.ქ 1ქ სახელმძღვანელო მითითება, დარიგება. ინსტრუქციის მიცემა. 2ქ რისამე შესასრულებლად საჯარო წესების კრებული.

ჰოდა, გვითხარით ბატონო, რომელს მივაკუთვნოთ თქვენი ინსტრუქცია — „მითითებას“ (უკვე კანონის მიერ მითითებულზე!!! .ქ თუ „წესების კრებულს“?

ბატონებო! საადვოკატო საქმიანობის 55 წელი მისრულდება 2008 წლის ივლისში... მე „ვენეციის სახელმწიფოსთვის გამიწევია სამსახური, თვითონ იციან, მაგრამ ამაზე არას ვამბობ მე ის მსურს მხოლოდ, ამ ჩემს ნააზრევს, ნუ ჩამითვლით ინტრიგანობად“... ჩემი ცხოვრება ერთი ფრთიანი გამონათქვამით განვლე — „სამართალი არის ზნეობის მინიმუმი, ზნეობა კი სამართლის მაქსიმუმია!!! – გთხოვთ, შვილებო და შვილიშვილებო, გაითავისეთ ეს ჭეშმარიტი ფრაზა.

**პატივისცემით**

**ნოდარ ნებიერიძე,**
ასოცირებული ადვოკატი,
საქართველოს ჟურნალისტთა
ფედერაციის წევრი

*P. S. – ერთი პატარა დეტალი გამომრჩა... სასამართლოში „ინსტრუქციის“ ტექსტში 0,60 თეთრი გამომართვეს... ამ ტექსტს 50-100 კაცი იღებს, რაც 100X0,60 – 60 ლარი X 24 დღეზე უდრის, 1440 ლარს.. ესეც მორიგი ჩემი „ინტრიგაა“. სად და ვის ჯიბეში ილექება ეს ფული?! თქვე კაი, ხალხო, გარემოვაჭრეს სალაროს აპარატის გამოუყენებლობის შემთხვევაში (0,90 ლარიან ნავაჭრზექ 500 და 1500 ლარის ჯარიმას ახდევინებენ! თქვენ რა? უფლება გაქვთ აისრულოთ ყველა განზრახვა და აპატიოთ თავს თქვენივე ნამოქმედარი“ (?!ქ*

*მაპატიეთ... რომ „ბზარი შევამჩნიე, მაპატიეთ, მომიტევეთ... მე „იურისპრუდენციის მარკშეიდერი გახლავართ“.*

***ნ. ნ.***

◉ ჟურნალისტური გამოძიება

## გაპრივატიზებული საქართველო

*პირდაპირ ვიტყვით – გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენთან მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება უშუალოდ უკავშირდება 1992-2008 წლებში განვითარებულ მოვლენებს. მნიშვნელოვნად განიავდა ჩვენი ქვეყნის სულიერი და მატერიალური სიმდიდრე. ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის ემიგრაციის მაჩვენებელი, იმატა იმ უცხოელთა რაოდენობამ, რომლებმაც საცხოვრებლად ჩვენი ქვეყანა აირჩიეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველები მცირე ერი ვართ, არც ისე შორეულ მომავალში საქართველო აღმოჩნდება ქართველების გარეშე.*

ჩვენი ქვეყანა მიზანმისწრაფულ ნგრევას და დაქუცმაცებას საძირკველი 1980-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა. მაშინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ზოგიერთმა წევრმა და მათთან დაკავშირებულმა ქვეყნის „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მამებმა არაკანონიერი, ქურდობის გზით ნაშოვნი ქონების ლეგალიზაცია მოისურვეს. საამისოდ კი საჭირო იყო საბჭოთა კავშირის დანგრევა, რის შედეგადაც პოსტსაბჭოურ სივრცეზე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათი კაპიტალი „ამუშავდებოდა“. ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ამოფარებულნი, ისინი 1992 წლიდან ქვეყანას მართავენ ჩვენს ქვეყანას და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ერმა საბოლოოდ დაივიწყოს საერთო-სახალხო მოძრაობის მოთხოვნები – ენა, მამული, სარწმუნოება, საყოველთაო თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება ქურდობითა და შავბნელი საქმეებით გამდიდრებული „ახალი ქართველების – ნუორიშების“ მისწრაფებებს.ალბათ, ამიტომაც უნდა შევეწინააღმდეგოთ „ახალი ქართველების“ სახით ქვეყანაში „ნეობოლშევიზმის“ გაბატონებას.

საქართველოს ევროკავშირისკენ თუ აქვს აღებული გეზი, ქვეყნის მოსახლეობა არსებობისათვის კი არ უნდა იბრძოდეს, არამედ არსებობდეს საშუალო ფენა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ევროკავშირის ქვეყნების დონეს უტოლდებოდეს.

1992-2008 წლების საქართველოს ხელისუფლებამ მტრის ხატად დაგვისახა რუსეთი, რომლის ხელშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები.

აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მრავალსახოვანი ხელისუფლება მოსვლის დღიდანვე მოსახლეობას ჰპირდებოდა ერთს, ფიქრობდა მეორეს და აკეთებდა მესამეს, რამაც განაპირობა საქართველოს როგორც ტერიტორიული დაქუცმაცება, ასევე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აშკარა გაუარესება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდია ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში სამართლებრივი გარანტიების გარეშე სახელმწიფო ქონების სწრაფ და ფართომასშტაბიან პრივატიზაციას. არადა, სწორედ ამგვარმა პრივატიზაციამ ჩვენი ქვეყანა ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ საერთაშორისო დონეზე დამოუკიდებლობააღიარებული ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მართვის ბერკეტებს, სტრატეგიული ობიექტების სახით, უცხო ქვეყნების იურიდიული პირები დაეუფლნენ.

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ 2007 წელს ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში სახალხოდ განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას იმიტომ გადავუდექით, ქვეყანაში საყოველთაო პრივატიზაციას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდაო.

როგორც ირკვევა, ზვიად გამსახურდიას კარგად ესმოდა, თუ რა შედეგს მოიტანდა საქართველოსთვის სწრაფი და ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია: ერის სულიერი სიმდიდრის გაჩანაგებას, სწავლა-განათლების პროცესის დაქვეითებას... სწორედ თენგიზ სიგუას პრემიერ-მინისტრობისას მოხდა ერთ-ერთი სახელმწიფო ობიექტის – თბილისის ბავშვთა ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ განკერძოება. მისი მფლობელი გახდა იმავე საწარმოს დირექტორი თენგიზ სიგუას ახლო ნათესავი – თამაზ სიგუა. ამჟამად აღნიშნული საწარმო სხვა იურიდიული პირის საკუთრებაა და მისი საქმიანობა არანაირად არ უკავშირდება ფეხსაცმლის წარმოებას.

ყველასთვის ნათელია, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე სახელმწიფო კონტროლის მოხსნის შემდეგ იმ პროდუქტების რეალიზაცია ხდება, რომელთა წარმოშობა და ხარისხი არის არა მარტო საეჭვო, არამედ ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში. რძისა და პურპროდუქტები, ლიმონათი, უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელები, საკონდიტრო ნაწარმი მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს შეიცავს, ხელისუფლება კი საბაზრო ეკონომიკის დროს კონკურენციის პირობებში ნებისმიერი პროდუქტის ხარისხის ვარგისიანობის საკითხის მოგვარებას მომხმარებელს აკისრებს. ამით ხომ ადამიანებს საფრთხეში აგდებს. ამიტომ ვაცხადებთ, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ანტისახალხო და ანტიეროვნულია!

თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანის, მიხეილ სააკაშვილის და მათი უშუალო კოორდინატორის – ედუარდ შევარდნაძის ნამოქმედარი, ჩვენი - ჟურნალისტური გამოძიების სააგენტოს „დრო და სივრცის“ შეფასებით, მომქმედი კონსტიტუციიდან გამომდინარე, სამშობლოს ღალატის ტოლფასია. გვჯერა, რომ არც ისე შორს არის ის დრო, როცა ქართველი ერი, ქვეყნის მოსახლეობა მათ სასამართლოს წესით ერთხელ და სამუდამოდ საბოლოო განაჩენს გამოუტანს.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ვალერი ლისოჩენკო,**
ჟურნალისტური გამოძიების
სააგენტო „დრო და სივრცე“

ქართველ ეკონომისტთა (და არა მარტო ეკონომისტთაძ საზოგადოება იუბილარს იცნობს როგორც ზედმიწევნით უმწიკვლო პიროვნებას, უღალატო კაცსა და საიმედო მეგობარს, მუდამ დაუზარელ, უშრეტი ენერგიის პატრონ, გულისხმიერ და ერუდირებულ ადამიანს





◉ გზა სახელოვანი

# ღვაწლი საშვილიშვილო

## ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა თავკაცი

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის ნამდვილ წევრს, პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, სახელმწიფო სამსახურის მართვის ცენტრის უფროსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორსა და რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, საერთაშორისო და საქართველოს ღირსების ორდენების კავალერს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს* ***ლეო ჩიქავას*** *დაბადებიდან 80 და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.*

შეიძლება ვინმეს შეცდომად მოეჩვენოს იუბილარის მიერ განვლილი ცხოვრების რვაათეული წლიდან ექვსი ათეული წლის მეცნიერული მოღვაწეობისადმი მიძღვნა, მაგრამ ეს სრული ჭეშმარიტებაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ სწორედ 60 წლის წინათ მისცა გამოსაქვეყნებლად რეკომენდაცია მის საუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებულ პირველ მეცნიერულ გამოკვლევას. სიმბოლურია ისიც, რომ ამ ნაშრომით იხსნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულის მეხუთე ტომი.

ამ სტრიქონების ავტორებს კარგად გვაქვს გაცნობიერებული წინამდებარე პუბლიკაციის სათაურად გამოტანილი ფორმულირების შინაარსობრივი დატვირთვის მნიშვნელობა. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ძალიან გაგვიჭირდება ისეთი სწავლული ეკონომისტის პოვნა, რომელიც თუნდაც ოდნავ შეიტანს ეჭვს იუბილარის მეცნიერული (და არა მარტო მეცნიერულიძ დამსახურების ესოდენ მაღალ შეფასებაში, ისევე როგორც თავის დროზე არავის შეჰქონდა ეჭვი მისი (ისე როგორც ყველა ჩვენთაგანისძ ლეგენდარული მასწავლებლის, ქართული ეკონომიკური მეცნიერების რაინდის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შემოქმედებისთვის ანალოგიური სტატუსის მინიჭებაში.

მრავალრიცხოვან ქართველ სწავლულ ეკონომისტთა შორის პროფესორ ლეო ჩიქავას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს არა მარტო იმიტომ, რომ დღეისთვის მისნაირი, მეცნიერებათა დოქტორის 40-წლიანი სტაჟის მქონე სწავლული ჩვენს დარგს სხვა არავინ ჰყავს, არამედ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი, როგორც ორიგინალური მეცნიერული გამოკვლევებისა და არაორდინარული სახელმძღვანელოების ავტორი, ასევე, მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორი, 14 წელია რაც პრეზიდენტის რანგში სათავეში უდგას და მიზანსწრაფულად წარმართავს მისივე თაოსნობით დაარსებული ქართული ეკონომიკის მეცნიერების შტაბის – საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ღრმაშინაარსიან, ფრიად ნაყოფიერ შემოქმედებითს საქმიანობას. ამით იგი ქართველ სწავლულ ეკონომისტთა თავკაცად გვევლინება და, რაც მთავარია, ამ მისიას ბრწყინვალედ ასრულებს.

პროფესორ ლეო ჩიქავას ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, ადამიანმა მთელი თავისი შემოქმედება და ძალისხმევა თუ როგორი გულმოდგინებითა და სიყვარულით უნდა ჩააქსოვოს მშობლიური ერისა და და ქვეყნისადმი უანგარო სამსახურში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თვალის თუნდაც ოდნავ გადავლება მისი სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიისთვის, რომელიც 160-ზე მეტ დასახელებას მოიცავს. თავის დროზე მკითხველთა ფართო წრეში აღიარება და მაღალი შეფასება ჰპოვეს მისმა მონოგრაფიულმა გამოკვლევებმა: კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, 1965, 27 ნ.თ.; არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები, 1986, 23 ნ.თ.; დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები, 2002, 5 ნ.თ.; ინოვაციური ეკონომიკა, 2006, 28 ნ.თ. ასევე სახელმძღვანელომ – ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, 2005, 28,5 ნ.თ. და სხვ.

უამრავ სხვა დამსახურებაზე რომ არაფერი ვთქვათ, იუბილარს საამაყოდ ისიც ეყოფოდა, რომ, ჯერ ერთი, არაჩვეულებრივი ძალისხმევის ფასად, რეალობად აქცია თავისი მასწავლებლის აკადადემიკოს პაატა გუგუშვილის სანუკვარი ოცნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დაარსების თაობაზე და 17 წლის განმავლობაში თავად ედგა მას სათავეში; და მეორე, დაასრულა აკადემიკოსების პ. გუგუშვილისა და ვ. ჩანტლაძის მიერ დაწყებული ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული (40 ათ. ტერმინის მომცველიძ ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა იგი 2001 წელს. ეს ნაშრომი ქართული ეკონომიკური ლიტერატურის საუკეთესო შენაძენია.

იუბილარს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერ-ეკონომისტთა მომზადებაშიც. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით დაცულია 5 სადოქტორო და 38 საკანდიდატო დისერტაცია, ოფიციალური ოპონირებით კი – 50-ზე მეტი. ბატონი ლეოს ოფიციალური ოპონირებით სადოქტორო დისერტაციების დაცვა ყოველთვის იყო მაღალპროფესიულ დონეზე მეცნიერული პაექრობის ნიმუში. მისთვის დამახასიათებელი იყო დისერტანტების მიმართ მაღალი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ობიექტურობასა და ჰუმანურობასთან ოპტიმალური შეხამება, რაც მის ავტორიტეტს სისტემატურად სძენდა ახალ-ახალ იმპულსს.

იუბილარს, მრავალ სხვა გამორჩეულ თვისებასთან ერთად, ახასიათებს მეცნიერული განსწავლულობის, უზადო პროფესიონალიზმისა და ორატორული ხელოვნების ერთმანეთისგან განუყოფლობა, მათი ორიგინალური სინთეზი. ამის მეოხებით მას არაერთხელ მოუხიბლავს არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების ფრიად მაღალკვალიფიციური აუდიტორიებიც კი. საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ 1972 წელს მისი ლექციების ციკლი ბერლინის, შვერინისა და როსტოკის (გერმანიაძ უნივერსიტეტებსა და უმაღლეს პარტიულ სკოლებში, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა გერმანიის იმდროინდელმა პრესამ.

1973 წელს ქ. ლუინოში (იტალიაძ გამართულ ეკონომისტთა საერთაშორისო კონგრესზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე იუბილარის მიერ წაკითხულ მოხსენებას და თვით მის ავტორს საგანგებო და უაღრესად თბილი პუბლიკაცია მიუძღვნა იტალიის გაზეთმა „უნიტამ“.

არც ისაა ნაკლებად საყურადღებო, რომ 1983 წელს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ეკონომიკის სპეციალობით გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე (მოკავშირე რესპუბლიკებიდან 150 მონაწილის შორისძ, სწორედ მის მოხსენებას ხვდა წილად პირველი ადგილი. მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. ამით ბატონმა ლეომ სახელი და დიდება მოუტანა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქართულ ეკონომიკურ სკოლას და, საერთოდ, მშობლიურ ქვეყანას.

პროფესორი ლეო ჩიქავა ცნობილი საზოგადო მოღვაწეცაა. საკმარისია ითქვას, რომ იგი დიდ დროსა და ენერგიას ახმარს ეკონომიკური პროფილის ჟურნალების („ობშესტვო ი ეკონომიკა“ – ქ. მოსკოვი, „მაცნე“ – ეკონომიკის სერია, „ეკონომიკა“, „საქართველოს ეკონომიკა“, „კომენტარი“, „დემოგრაფია“, „გადასახადები“, „ახალი ეკონომისტი“, „ფინანსები და კრედიტი“ და სხვ.ძ სარედაქციო კოლეგიების წევრობას. 14 წელი ხელმძღვანელობდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. თავისი აქტიური მოღვაწეობის 23 წელი მოახმარა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში, ჯერ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო მუშობის დარგში დირექტორის მოადგილის, ხოლო შემდეგ – დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობებზე მუშაობას. ამ პერიოდში იგი იყო არაერთი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მოწვევის ორგანიზატორი და თავკაცი. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ხელისუფლების ორგანოებს სისტემატურად წარედგინებოდა რეკომენდაციები პრაქტიკული ხორცშესხმისათვის.

რად ღირს თუნდაც იმის გახსენება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის აღიარებისადმი მიძღვნილ დეკლარაციას, იმდროინდელი (1991 წ.ძ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხვა წევრების ხელმოწერასთან ერთად, მისი ხელმოწერაც ამშვენებს.

ქართველ ეკონომისტთა (და არა მარტო ეკონომისტთაძ საზოგადოება იუბილარს იცნობს როგორც ზედმიწევნით უმწიკვლო პიროვნებას, უღალატო კაცსა და საიმედო მეგობარს, მუდამ დაუზარელ, უშრეტი ენერგიის პატრონ, გულისხმიერ და ერუდირებულ ადამიანს, გარშემო მყოფთა მიმართ უხმაუროდ სიკეთისა და სითბოს უხვად მფრქვეველ სახელოვან მეცნიერს, ამაგდარ პედაგოგს, ოჯახში – უაღრესად ყურადღებიან მეუღლეს, ორი შვილის მამასა და ხუთი შვილიშვილის (მ.შ. პატარა ლეოსძ უსაყვარლეს ბაბუას.

ძალიან გვიხარია, რომ, განვლილი ცხოვრების წლებით დატვირთვის მიუხედავად, იგი საკმაოდ მხნედ გრძნობს თავს და ჩვეული სიდარბაისლით, თითქმის ჭაბუკური ენერგიით, მუხლჩაუხრელად განაგრძობს სათაყვანებელ საქმეს – მეცნიერულ-კვლევითსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ერის ამ სასახელო შვილს კიდევ ერთხელ ვულოცავთ საიუბილეო თარიღს და, დღეგრძელობასთან ერთად ვუსურვებთ კვლავაც წარმატებულ მოღვაწეობას მშობლიური ქვეყნისა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

**ნოდარ ჭითანავა,**
**ვაჟა ლორთქიფანიძე,**
**გიორგი შუბლაძე.**

◉ ინფორმაცია



### სარკინიგზო მაგისტრალისთვის სამზადისი დაიწყო

ახალქალაქში ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. ამის შესახებ შპს ძსაქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ განაცხადა.

მისივე თქმით, რკინიგზის მთელ მონაკვეთზე მიმდინარეობს მიწის საბოლოო რეგისტრაცია.

ახალქალაქში აქტიურ სამუშაოებს რთული კლიმატური პირობები უშლის ხელს. ირაკლი ეზუგბაიას განცხადებით, ისეთი სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის ჩატარება თოვლის პირობებშია შესაძლებელი.

რკინიგზის ახალი მონაკვეთის მშენებლობის აქტიური სამუშაოები უკვე გაზაფხულისთვის დაიწყება.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის ფარგლებში, მოხდება 25-კილომეტრიანი სარკინიგზო ხაზის – ახალქალაქი-კარწახის მშენებლობა, ასევე მარაბდა-ახალქალაქის მონაკვეთის რეაბილიტაცია. ახალქალაქი-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობას აზერბაიჯანული კომპანია „აზერინშატსერვისი“ განახორციელებს. აზერბაიჯანმა საქართველოს სარკინიგზო მონაკვეთის რეაბილიტაცია-მშენებლობისთვის 200 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი გამოუყო.

### დიდი მოღვაწის არქივი ხელნაწერთა ცენტრს შეემატა

პროფესორ ვალერიან გაბაშვილის არქივი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მანანა გაბაშვილმა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა მამის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა სამეცნიერო სკოლის დამფუძნებლის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვალერიან ნიკოლოზის ძე გაბაშვილის (1911-1985 წწ.ძ პირადი არქივი.

არქივში შედის ვალერიან გაბაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები, ფოტოსურათები, აგრეთვე, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. განსაკუთრებით ფასეულია ფსევდონიმით, ნიკოლოზ გაბაონი, გამოქვეყნებული რომანის „აივნიანი ქალაქი“ ხელნაწერი.

აღნიშნული მასალა წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს როგორც ვალერიან გაბაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე XX საუკუნის ქართული კულტურის შესწავლის თვალსაზრისით, – განაცხადა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გოჩა საითიძემ.

მისივე თქმით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ახალი არქივების მოზიდვაა.

ვალერიან გაბაშვილის პირადი არქივი შესასწავლად გადაეცა მეცნიერებს, სათანადო დამუშავების შემდეგ კი აღწერილობა შედგება და მასალა ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

**ინტერპრესნიუსი**

№ 31. სამშაბათი, 19 თებერვალი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● სააკაშვილის გარემოცვაში არსებული წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იგი მზადაა შეერთებული შტატებისა და ევროპის მთელი რიგი ქვეყნების შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა აღიაროს კოსოვოს დამოუკიდებლობა



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველო „კოსოვოს შტორმში“ მოხვდა

სერბიის კოსოვოს მხარის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მოსკოვსა და თბილისს შორის ნეგატიური ემოციების ამოფრქვევა გამოიწვია. ამან შეიძლება ჩაშალოს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაში მოსალოდნელი პროგრესი. ამ კვირაში ხომ მოსკოვში დაგეგმილია მოლაპარაკება ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხზე, რომელიც წლინახევრის წინათ შეწყდა. შემდეგ უნდა გაიმართოს მოლაპარაკება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლის თაობაზე. 21 თებერვალს კი ვლადიმერ პუტინი მიხეილ სააკაშვილს მიიღებს აირების თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სამიტის წინ.

მაგრამ ახლა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღიარა, რომ „კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და აღიარება, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სიტუაციასთან დაკავშირებით“. ამის შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ურჩია „მოსკოვს ცეცხლს ნუ ეთამაშება“ საქართველოს ერთიანობის საკითხში. სააკაშვილი იმიტაც უკმაყოფილოა, რომ 15 თებერვალს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მოლაპარაკება გამართა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტებთან – სერგეი ბაღაფშთან და ედუარდ კოკოითთან, რომლებიც სასწრაფოდ ჩაფრინდნენ მოსკოვში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე გადასცა საპროტესტო ნოტა რუსეთის ელჩს თბილისში ვიაჩესლავ კოვალენკოს.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკები არ იფარგლებიან მოლაპარაკებით, არამედ ნაჩქარევად ემიჯნებიან საქართველოს მასშტაბური ეკონომიკური პროექტებით, რომელშიც რუსეთი მონაწილეობს. მალე ცხინვალი ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მიიღებს: ჩრდილოეთ ოსეთიდან სამხრეთში გაზსადენის მშენებლობაში მეორე ეტაპი დაიწყო. ჩრდილოეთ ოსეთში მილი მზადაა და ახლა სამუშაოები იწყება სამხრეთ ოსეთში, რისთვისაც, როგორც „ვრემია ნოვოსტეის“ უთხრა ამ რესპუბლიკის პრემიერმა იური მოროზოვმა, „მშენებლები უკვე ჩამოვიდნენ ცხინვალში“.

ჯერ კიდევ 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთი შეუდგა სამხრეთ ოსეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, დაიწყო რა 163-კილომეტრიანი გაზსადენის გაყვანა. ეს უნიკალური პროექტი ყველაზე მაღალმთიანი გაზსადენია მსოფლიოში. მილი ზღვის დონიდან 3150 მეტრის სიმაღლეზე გაივლის. ამიტომ, როგორც ივარაუდა ბატონმა მოროზოვმა, პროექტი მხოლოდ 2009 წლის პირველ კვარტალში დასრულდება“.

გაზზე სამხრეთ ოსეთის ყოველთვიური მოთხოვნა მილიონ კუბმეტრს შეადგენს. ახლა თვითაღიარებული რესპუბლიკა რუსეთის გაზს საქართველოსგან ყიდულობს 1000 კუბმეტრს 311 დოლარად (თავად საქართველო 230 დოლარს იხდისძ. „პირდაპირი მიწოდება ბევრად უფრო იაფი დაგვიჯდება“, – დარწმუნებულია სამხრეთ ოსეთის პრემიერი. გაზსადენი დააპროექტა კომპანია „პრომგაზმა“ – „გაზპრომის“ შვილეულმა საწარმომ. რუსეთის ბიუჯეტიდან მშენებლობის დაფინანსების მოცულობა მილიარდნახევარ რუბლს შეადგენს სავარაუდოდ.

ეს მილი თბილისში გაღიზიანებას იწვევს, ისევე როგორც მეორე თვითაღიარებული რესპუბლიკის აფხაზეთის სურვილი მონაწილეობა მიიღოს 2014 წელს სოჭის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის მომზადებასთან დაკავშირებული მომხიბლავი პროექტების რეალიზაციაში.

ცნობილმა ქართველმა ექსპერტმა აფხაზეთის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა „ვრემია ნოვოსტეის“ აცნობა, რომ უკვე დაიწყო აფხაზეთიდან ღორღის გატანა სოჭისკენ. აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრმა კრისტინა ოზგანმა კი განაცხადა: „სოხუმი ამზადებს ოლიმპიადა-2014-სათვის პროექტების პაკეტს. ეს არის საკურორტო სფეროც, ჩვენი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენებაც, საშენი მასალების მიწოდებაც, ასპარეზობის სტუმრების განთავსებაც. თუნდაც ერთ-ერთი მათგანის რეალიზაცია სერიოზული შემოსავალია აფხაზეთისათვის“. ქალბატონ ოზგანს ციფრები არ დაუსახელებია, რადგან „ჯერ რთული სათქმელია, თუ რა გამოვა“.

საქართველოს ხელმძღვანელებს უკვე არაერთგზის განუცხადებიათ, რომ რუსეთის ცდები, მათი თანხმობის გარეშე ჩააბან აფხაზეთი 2014 წლის ოლიმპიადის მზადებაში, შეიძლება გამოიწვიოს მოსკოვის 1980 წლის ასპარეზობასთან დაკავშირებული ბოიკოტის გამეორება, თუ დასავლეთის არა, ყოველ შემთხვევაში საქართველოს მხრიდან.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა „ვრემია ნოვოსტეისთან“ საუბრისას თქვა, რომ „ოლიმპიადა შეიძლება დადებითი მოვლენა გახდეს ჩვენთვისაც, აფხაზებისთვისაც, ოსებისთვისაც და რუსებისთვისაც. იგი უნდა გამოვიყენოთ საიმისოდ, რომ ყველამ მაქსიმალური მოგება ნახოს. თბილისასთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარდა დახურული თემა არ არსებობს“.

სახელმწიფო მინისტრი მზადაა სოხუმთან იმსჯელოს სანქციების გაუქმებაზეც, რომელიც აფხაზეთის წინააღმდეგ თანამეგობრობის სახელმწიფოებმა 12 წლის წინათ შემოიღეს. ეს სანქციები კრძალავს საქართველოს თანხმობის გარეშე ამ რესპუბლიკასთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას. თუმცა რუსეთი ფაქტობრივად სანქციებს არ ითვალისწინებს.

თბილისს ხომ შეუძლია ასე იმსჯელოს: რაკი რუსეთთან თვითაღიარებული რესპუბლიკების ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესის შეჩერება შეუძლებელია, ჯობია იგი ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. „აფხაზეთთან სანქციების შემოღება კარგ იმპულსს მისცემს მოწესრიგებას, უთხრა გაზეთს საქართველოს ექს-პრემიერმა თენგიზ სიგუამ. – რუსეთთან თანამშრომლობით განსახორციელებელი პროექტების გარეშე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები ადგილიდან ვერ დაიძვრება“. „ეკონომიკური მიმზიდველობა ეს აფხაზებისა და ოსების სიმპათიების დაბრუნების ერთადერთი გზაა. კუნთების თამაშში გაუმართლებლად ბევრი წელი დავკარგეთ“, – უთხრა გაზეთს კიდევ ერთმა ქართველმა პოლიტოლოგმა გიორგი ხუხაშვილმა.

„სანქციების მოხსნა უნდათ? ზღვა უნდათ გაგვიხსნან? ჰოდა, იმოქმედონ. თორემ სულ ფუჭი ლაპარაკია და არანაირი კეთილი ნება“, – უთხრა „ვრემია ნოვოსტეის“ აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა სერგეი შამბამ. მან გაიხსენა, რომ 18-19 თებერვალს ჟენევაში შეიკრიბებიან „გაეროს გენერალური მდივნის მეგობრები საქართველოს საკითხებში“ – რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დიპლომატები, რომლებიც აფხაზეთის პრობლემატიკაზე მუშაობენ.

ჯერჯერობით კი სოხუმთან და ცხინვალთან თბილისის მოლაპარაკება გაყინულია. ამას სარგებლობა არ მოაქვს საქართველოსთვის, მით უმეტეს, რომ მიხეილ სააკაშვილის განსაზღვრებით, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მის ქვეყანას „ძალიან სერიოზული შტორმით“ ემუქრება. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის კოსოვოს სცენარის შედეგები სულ უფრო აქტუალური ხდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისთვისაც.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ



## კოსოვო სამხრეთ ოსეთისთვის მაგალითი ვერ იქნება

„უტრო“: როგორი რეაგირება მოახდინეს სამხრეთ ოსეთში კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე?

დიმიტრი მედოევი: კოსოვოსთან დაკავშირებულ სიტუაციაში ორმაგი სტანდარტების მექანიზმი ამოქმედდა. მხარის აღიარება შედის ქვეყნების ჯგუფისა და სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების ინტერესებში, რომლებიც არად აგდებენ საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ხალხების ნებას. თავხედურად ფეხქვეშ ითელება გაეროსა და ეუთოს წევრი სუვერენული სახელმწიფოს უფლებები, სერბიის ნება შეილახა.

მოცემულ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთი მხარს უჭერს რუსეთის კურსს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ერის თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ მიაჩნია, რომ არ უნდა დაირღვეს არსებული სამართლის ნორმები. სამხრეთ ოსეთი ეს ის ტერიტორიაა, რომელზეც ოსი ეთნოსი ისტორიულად ცხოვრობდა სხვა ხალხების მხარდამხარ. ეს ჩვენი მიწა-წყალია, ავტონომია გვქონდა და მუდამ ვესწრაფოდით თვითგამორკვევასა და დამოუკიდებლობას, როგორც ეს იყო, მაგალითად, გასული საუკუნის 20-იან წლებში. მაგრამ სამხრეთ ოსეთის მიმართ, რომელიც ტოტალიტარული წნეხის ქვეშაა, დასავლეთში არანაირი თანაგრძნობა არ არის. მას აშკარად უგულებელყოფენ, ხალხს არად აგდებენ, თითქოს იგი არც კი არსებობდეს. კოსოვოს მიმართ კი, რომელიც იუგოსლავიის დაშლის პროდუქცია, სულ სხვაგვარი დამოკიდებულებაა.

„უტრო“: ბოლოდროინდელი ამბების ფონზე რა მოქმედებას ელოდებით საქართველოს მხრიდან თვითაღიარებული რესპუბლიკების მიმართ?

დიმიტრი მედოევი: საქართველო როგორც შეერთებული შტატების სატელიტი, მთლიანად მხარს უჭერს მის პოლიტიკას. სააკაშვილის გარემოცვაში არსებული წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იგი მზადაა შეერთებული შტატებისა და ევროპის მთელი რიგი ქვეყნების შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა აღიაროს კოსოვოს დამოუკიდებლობა. მაგრამ თბილისში ამაზე არაფერს ამბობენ, რადგან საქართველოში შიდა რეაქციის ეშინიათ. სამხრეთ ოსეთის სპეცსამსახურები იღებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ გაზრდილ საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმშია გადაყვანილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გორის ბრიგადა, რომელიც სამხრეთ ოსეთის საზღვრების პერიმეტრზეა განთავსებული, ყინვის მიუხედავად გრძელდება სამხედრო-საინჟინრო სამუშაოები, ამაგრებენ საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ქმნიან ბლოკსაგუშაგოებს. რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მდიდარ ადამიანებს მიმართეს თხოვნით ფინანსურად მხარი დაუჭირონ საქართველოს შეიარაღებული ძალების განმტკიცებას, იმ მოტივით, რომ მის ტერიტორიაზე ორი „სეპარატისტული რეჟიმია“, რომლებიც ქართველთა უსაფრთხოებას ემუქრებიან. ეს საქართველოს ისედაც უზარმაზარი სამხედრო ხარჯების გარდა. თბილისის საომარი რიტორიკა არ წყდება. სააკაშვილი აცხადებს, რომ სადაცაა გადაწყდება სამხრეთ ოსეთის საკითხი. რას ნიშნავს „სადაცაა“ მისი ლოგიკით, ჩვენ საბრძოლო მოქმედებებით ვიცით.

ძალიან საშიში პერიოდი დადგა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის სიტუაციის განვითარებაში. კოსოვოს საქმეებთან დაკავშირებით კავკასიაში ომის განახლების საშიშროება მრავალგზის გაიზარდა.

„უტრო“: როგორ ემზადება ცხინვალი მოვლენათა ამგვარი განვითარებისთვის?

დიმიტრი მედოევი: სამხრეთ ოსეთში ძალიან მშვიდად ეკიდებიან მიმდინარე ამბებს. იმის მიუხედავად, აღიარებენ თუ არა კოსოვოს, ჩვენი დამოუკიდებლობის კურსი გაგრძელდება. თავდაცვისუნარიანობას ვაძლიერებთ და მზად ვართ აგრესიის მოსაგერიებლად.

„უტრო“: ამიხსენით, რატომ არის სამხრეთისათვის მაგალითი არა კოსოვო, არამედ ჩერნოგორია, რაც ამ დღეებში განაცხადეთ?

დიმიტრი მედოევი: სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებლობის მიღწევის ცივილიზებული ხერხების მომხრეა. ჩვენ არ გვჭირდება აღიარება სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებებით. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალში პრეცედენტი ეს მომხდარი მოქმედებაა, რომელიც მაგალითად იქცა. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ კოსოვო სამხრეთ ოსეთისათვის მაგალითი ვერ იქნება, რადგან ეს მთელი რიგი ქვეყნების უკანონო სპეცოპერაციაა. ჩვენთვის პრეცედენტი ჩერნოგორიაა, როგორც პოლიტიკური პროცესის ცივილიზებული განვითარების, სერბიისა და ჩერნოგორიის ადეკვატური მოქმედების მაგალითი, როცა „ხავერდოვანი“ დაშორება მოხდა. მოვლენათა ამგვარ განვითარებას ვისურვებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, არც თბილისია ბელგრადი და არც საქართველო ევროპა.

„უტრო“: კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში თვითაღიარებული რესპუბლიკების ხელისუფალთაგან რა მოქმედებასა და გადაწყვეტილებებს უნდა ველოდოთ?

დიმიტრი მედოევი: კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მიუხედავად მოსკოვში იგეგმება სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, სადაც ახალ პირობებში შემდგომი თანამშრომლობის მექანიზმს შევიმუშავებთ. არა მგონია, რომ ამ სიტუაციას სიურპრიზები მოჰყვეს. პირიქით, სამხრეთ ოსეთის რეაქცია და მოქმედება ადეკვატური, პრაგმატული და სწრაფად ცვლადი ვითარების შესაბამისი იქნება.

**იური კოტიონოკი**

Утро.ru

● როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, მიმდინარე კვირა მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკეა, რის გამოც ტაძრებში დიდი მარხვის საკითხავების კითხვა დაიწყო



◎ ცხოვრების სურათები

მკითხველი გვთავაზობს

# მატარებელში

**მატარებელი დაიძრა. კუპეში ჩემ გარდა ორი მგზავრია. ერთ-ერთმა მაგიდაზე პურმარილი გაშალა და მიგვიპატიჟა, მერე ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიღო და გვითხრა:**

— მეგობრებო, სანამ სადღეგრძელოს ვიტყოდე, ერთმანეთი გავიცნოთ. მე გახლავართ არველოდი ჯიქია, ხობის რაიონიდან, მივდივარ თბილისში დისშვილის ნიშნობაზე. ვმუშაობ ავტობუსის მძღოლად. — ეს თქვა და პირდაპირ მჯდომ ახალგაზრდა მამაკაცს ჭიქა მიუჭახუნა, რომელმაც თავის მხრივ არ დააყოვნა და თქვა:

— გურჯაანის რაიონიდან ვარ, ზაზა ოქროპირიძე, მამაჩემს ყურძენი აქვს წაღებული ზუგდიდში გასაყიდად, მეც იქ ვიყავი ჩასული.

ბოლოს მეც გავაცანი თავი.

შემდეგ თამადამ გვითხრა.

— ხვალ ქეიფი მომიწევს, თავი უნდა შევინახო, თქვენც ზედმეტად არ შეგაწუხებთ. წინადადება შემომაქვს, მორიგი სადღეგრძელოს თქმამდე თითო რამ ამბავი მოვყვეთ, რომლის უშუალო მონაწილე-მხილველნი ჩვენ ვიყავით.

ამაზე მივუგე:

— თქვენ დაიწყეთ, ავტობუსის მძღოლი ყოფილხართ და ჩვენზე მეტი გექნებათ მოსაგონარი.

— კი ბატონო, ეგრე იყოს. — თქვა და დაიწყო.

— თბილისისკენ მომყავს ავტობუსი. ცოტა არ იყოს, ხასიათზე ვერა ვარ, რადგან მგზავრები ცოტანი არიან. ქუთაისში რომ გავჩერდი, ახალგაზრდა ქალი ჩქარი ნაბიჯებით ამოვიდა, თან ახალგაზრდა მამაკაცი ახლდა, რომელმაც აკოცა და ავტობუსიდან ჩავიდა. სულ ბოლოს ერთმა ხანდაზმულმა მანდილოსანმა დაიკავა ფანჯრის გვერდით ადგილი. პირში თეთრი აბი ჩაიდო, ბოთლიდან წყალი დააყოლა და მაშინვე ჩათვლიმა.

გავიარეთ კარგა მანძილი. თავდალმართზე დავეშვით, როცა სურამს მივუახლოვდით, ჩოჩქოლის ხმა შემომესმა, მანქანა გვერდულზე გავაჩერე, თურმე მოხუცებული ქალი ცუდად გამხდარიყო.

— ექიმი, ექიმია საჭირო! — ატყდა შეძახილები.

ახალგაზრდა ქალი ადგილიდან წამოვარდა. მგზავრები მისწი-მოსწია, მოხუცებულს საკინძე გაუხსნა და საფეთქლები დაუზილა, წყალი აპკურა, მაგრამ გონზე მაინც ვერ მოიყვანა.

— ფანჯარა ჩამოსწიეთ! — გასძახა მგზავრებს და ხელის მოქნილი მოძრაობით გულის მასაჟი დაუწყო. კარგა ხანი მოხუცებული გონს ვერ მოეგო. დაილალა ახალგაზრდა. ოფლში გაიწურა, მაგრამ თავს მაინც არ ანებებდა და როცა გონდაკარგულმა, როგორც იქნა, ამოისუნთქა, პირ-ჯვარი გადაიწერა, მუხლებზე დაეშვა და გადაკოცნა.

— ვინა ხარ, შვილო, ასეთი ღვთისნიერი?

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, თქვენ იყოთ კარგად, ისე თუ გაინტერესებთ, ქუთაისელი ვარ. თბილისში მივდივარ სამედიცინოზე დაუსწრებელზე ვსწავლობ და თან სანიტრად ვმუშაობ.

— ეს ქალბატონი თქვენი ახლობელი ხომ არ არის? — შევეკითხე.

— ჩვენ ისე ცოტანი ვართ, რომ თითქმის ყველანი ერთმანეთს ნათესავებად ვერგებით.

— ღმერთმა დაგლოცოს.

— სად მიბრძანდებით ქალბატონო? — მივუბრუნდი მოხუცებულს.

— ხაშურში.

— თქვენი მარტო დატოვება არ შეიძლება, გულის ისეთი შეტევა გქონდათ, რომ... სახლამდე უნდა მიგაცილოთ, — მიმართა ახალგაზრდამ.

— არა, შვილო, როგორ შეგაწუხო, მივალ როგორმე.

— დეიდა, მარტო ვერ გაგიშვებთ.

მოხუცებული სახლამდე მივაცილეთ, ოჯახს ჩავაბარეთ და მერედა განვაგრძეთ გზა. — მოდი ამ ჭიქით ყველა კეთილ ადამიანს გაუმარჯოს.

შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცმა დაიწყო:

... — ჩვენს სოფელში ჩემს მეზობელ ვახტანგზე უკეთეს ღვინოს ვერავინ აყენებს. ერთხელ მასთან თანასოფლელი ახალგაზრდა მივიდა და 20 ლიტრა ღვინო სთხოვა. უთხრა, ბიჭები ვქეიფობთ, გამატანე და ორ დღეში თანხას ღვინის ჭურჭელთან ერთად მოგიტანო. ვახტანგმა ხელი გაუმართა და ღვინო ჩამოუსხა. გავიდა ორი დღე და მეტიც, დანაპირები კი არ ჩანდა, იმედდაკარგულმა ვახტანგმა ხელი ჩაიქნია:

— ჯანდაბას ოცი ლიტრა ღვინო, ვითომც არა მქონია, საწყენი ის არის, მომავალი თაობა ტყუილით რომ იწყებს ცხოვრებას.

შაბათი დღეა. ვახტანგი გარაჟის სახურავს ახლით უცვლის. მხოლოდ ერთი მეზობელი ეხმარება. მეტი მუშახელია საჭირო, მაგრამ ვერ მონახა, ვინაიდან ყველას თავისი გასაჭირვებია. ვახტანგი საგონებელში ჩავარდა, ამ დროს ჭიშკარს მოადგა ის თანასოფლელი თავის მეგობართან ერთად.

— აი, ბატონო ვახტანგ, თქვენი ღვინის ფული და ჭურჭელი. მოვედით, რომ მოგეშველოთ გარაჟის შეკეთებაში.

თამადა ფეხზე წამოდგა, ჭიქა ასწია:

— ჩვენს ახალგაზრდობას გაუმარჯოსო! — თქვა და ბოლომდე დაცალა.

ეჰ, რა არ ხდება ამ ჩვენს ჭრელ და უთავბოლო ცხოვრებაში.

**ბორის ჭითანავა,**
ზაჰესი

◎ ფეხბურთი

# აქეთური, იქეთური

**განვლილ კვირაში სინანულით გაუწყეთ, რომ უსახსრობის გამო დაშლა ემუქრებოდა საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს — „ზესტაფონს“. საბედნიეროდ, საშველი ურმის გადაბრუნების წინ გამოიძებნა, რაშიც დიდი წვლილი პროფესიული ფეხბურთის ლიგის თავკაცებმა შეიტანეს. მათი და ყვირილასპირელთა უფროსობის ძალისხმევით თვითგადარჩენის ინსტინქტმაც იმძლავრა და ფინანსური პრობლემებიც გადაიჭრა, პირველი დადებითი შედეგი კი უკვე სახეზეა — თემურ მახარაძის გაწვრთნილი გუნდი წარმატებით ჩაება ახალ სეზონში.**

ფეროლებმა დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა სტუმრად მოუგეს ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს რუსთავის „ოლიმპს“, რითაც დიდი ნაბიჯი



გადადგეს მორიგი ეტაპისკენ.

ამავე რაუნდში გორის „დილამ“ შინ 3:2 სძლია „ბორჯომს“, ხოლო თბილისის „დინამომ“ „ცხინვალი“ დაამარცხა — 2:0. ჭიათურის „მაღაროელისა“ და დედაქალაქის „ამერის“ დუელი დღეს გაიმართება.

* * *

**დღეს განახლდება ჩემპიონთა ლიგის გათამაშება.** ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის დამდეგი ბატალიების წინ მთელი რიგი გრანდების მესვეურებმა თავს წამყვან მოთამაშეთა დასვენების უფლება მისცეს და გასულ უქმეებზე ბრძოლაში შესუსტებული შემადგენლობები ჩააბეს, თუმცა ამას პაექრობათა სიმძაფრეზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

**იტალია.** „ინტერი“ — „ლივორნო“ 2:0, „იუვენტუსი“ — „რომა“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 59, „რომა“ — 48, „იუვენტუსი“ — 47 ქულა.

**ესპანეთი.** „ბეტისი“ — „რეალი“ 2:1, „სარაგოსა“ — „ბარსელონა“ 1:2, „ვილიარეალი“ — „რასინგი“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ — 56, „ბარსელონა“ — 51, „ვილიარეალი“ — 43 ქულა.

**გერმანია.** „ჰანოვერი“ — „ბაიერნი“ 0:3, „ვერდერი“ — „ნიურნბერგი“ 2:0, „ჰამბურგი“ — „ბოხუმი“ 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ — 43, „ვერდერი“ — 40, „ჰამბურგი“ — 37 ქულა.

**ინგლისის თასი.** „მანჩესტერი“ — „არსენალი“ 4:0.

◎ ძიუდო

# თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“

**გასულ უქმეებზე ავსტრიის დედაქალაქმა ვენამ ძიუდოისტთა მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა, ოღონდ სათადარიგო შემადგენლობით.**

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ვალერი ლიპარტელიანმა. 18 წლის დებიუტანტმა ზედიზედ დაამარცხა ამერიკელი რიკ ჰოუნი, ლიტველი მარიუს ლაბალაუკისი, იაპონელი ტაცუკი მასუბუჩი, სერბი ნიკოლა ნიკოლიჩი, ყაზახი მაქსიმ რაკოვი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ ზურაბ ზვიადაურსა და მსოფლიო ჩემპიონ ირაკლი ცირეკიძეს ღირსეული კონკურენტი და ცვლა ეზრდება.



კარგი შთაბეჭდილება დატოვა 81 კილოში მოასპარეზე საბა გავაშელიშვილმა. მართალია, ჩვენებური პირველ წრეში სლოვენიელ ალიაზ სედეჯთან დამარცხდა, მაგრამ დამამშვიდებელი ჯგუფის ხუთივე შეხვედრაში იპონით სძლია მეტოქეებს — ჩინელ ლეი გუოს, ჩეხ ტომაშ მუზიკს, უნგრელ შანდორ ნადისოლიმოშს, გერმანელ დენის ჰუკს და აზერბაიჯანელ მემან აზიზოვს, რითაც ბრინჯაოს მედალიხვდა და სალიცენზიო ქულათა მარაგიც გაიუმჯობესა. დანარჩენი ქართველი ძიუდოისტები საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდნენ.

◎ სულიერება

# მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე

**დიდმარხვისთვის მართლმადიდებელი მრევლის მოსამზადებლად მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე დაიწყო.**

როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, მიმდინარე კვირა მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკეა, რის გამოც ტაძრებში დიდი მარხვის საკითხავების კითხვა დაიწყო.

მიმდინარე კვირა მსგეფსია, რაც ნიშნავს, რომ მორწმუნეები ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვებს აღარ დაიცავენ და ხსნილია ყოვლითურთ. დიდმარხვის დაწყებას წინ კიდევ ხორციელი და ყველიერი კვირები უძღვის.

მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკეს დაწყებისას კვირას ტაძარში, წირვაზე, სახარებიდან ის ადგილი იკითხება, სადაც მაცხოვარი მეზვერისა და ფარისევლის ტაძარში შესვლის შესახებ საუბრობს. ფარისეველი, რომელიც საპატიო წოდება იყო, ტაძარში წინ დადგა და ლოცულობდა. მადლობას სწირავდა უფალს, რომ ასრულებს ღვთის მცნებებს და არ არის ისეთი, როგორიც მეზვერე.

მეზვერე კი ტაძრის ბოლოს დადგა და თავისი ცოდვების გამო სინანულით ლოცულობდა. სახარების მიხედვით ამის გამო, მეზვერე ტაძრიდან უფრო გამართლებული გავიდა, ვიდრე ფარისეველი.

**ინტერპრესნიუსი**

# განცხადება

**სს „საქლადას“ დირექტორატი აცხადებს, რომ 2008 წლის მარტში განსაზღვრულია სს „საქლადას“ აქციონერთა მორიგი საერთო კრების ჩატარება.**

სს „საქლადას“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2008 წლის 28 თებერვალი, 18 სთ-ის მდგომარეობით.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი და რეკომენდაციები, ისევე როგორც კრების ჩატარების ადგილი და ზუსტი დრო გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად, აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.

**სს „საქლადას“ დირექტორატი**

● გამოვლინდა საქართველოს ნაკრები გუნდების მომავალ მეტოქეთა ვინაობა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ და ფინალურ ეტაპებზე



◎ ორბიტაზე

## რუსებს ცურვა დაავიწყდათ?




**ავსტრალიელმა მოცურავემ იმონ სალივანმა ახალი სამხრეთ უელსის ჩემპიონატზე დაამხო ლეგენდარული რუსი მოცურავის ალექსანდრე პოპოვის მსოფლიო რეკორდი თავისუფალი სტილით 50 მეტრზე ცურვაში, რომელიც რვა წლის წინათ დამყარდა.**

„მინდოდა, ავსტრალიაში ყველაზე სწრაფი ვყოფილიყავი, ახლა კი ყველაზე სწრაფი ვარ მსოფლიოში, – აცხადებს ახალზედა რეკორდსმენი.

ამიერიდან პლანეტის საუკეთესო მაჩვენებელი ამ მანძილზე იქნება 21.56, რაც 0,08 წამით უკეთესია პოპოვის მიერ 2000 წელს მოსკოვში დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე. ამ გამარჯვებით 22 წლის ავსტრალიელი ავტომატურად იქცა პეკინის ოლიმპიადის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ამ დისტანციაზე. ასე რომ, რუსეთს აღარა ჰყავს მსოფლიო რეკორდსმენი ცურვაში.

## ორი ლიდერი

**მექსიკაში დაიწყო 21-ე კატეგორიის საჭადრაკო ორწრიანი სუპერტურნირი. პირველ წრეს მექსიკური მორელია უმასპინძლებს, მეორეს კი, – ესპანეთი. მორელიაში ჯერჯერობით ორი ტურის შემდეგ ქულანახევრით ლიდერობენ უკრაინელი ვასილ ივანჩუკი და ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი. მათ გარდა სუპერტურნირში მონაწილეობენ არონიანი (სომხეთი), ლეკო (უნგრეთი), ანანდი (ინდოეთი), კარლსენი (ნორვეგია), რაჯაბოვი (აზერბაიჯანი), შიროვი (ესპანეთი).**

პირველ ტურში ტოპალოვმა დაამარცხა არონიანი, ლეკომ-რაჯაბოვი, შიროვი დამარცხდა ანანდთან, ყაიმზე შეთანხმდნენ კარლსენი და ივანჩუკი. მეორე ტურში ივანჩუკმა სძლია ლეკოს, არონიანმა – ანანდს, დაზავდნენ რაჯაბოვ-ტოპალოვი, შიროვი-კარლსენი.

## ოლიმპიური პროსტიტუციის პირველი ნაბიჯები

**კანადის საროსკიპოების თანამშრომელთა ჯგუფმა, 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ვანკუვერში საკუთარი პროფკავშირის ჩამოყალიბება რომ უნდა, გამოაცხადა ამ მიზნით პირველი ნაბიჯების გადადგმა.**

– ეს განსაზღვრავს ჩვენს სტრუქტურას და მოგვცემს საზოგადოებასთან თანამშრომლობის საშუალებას, – **რეიტერი** იმოწმებს გაერთიანების კოორდინატორის სიუზან დევისის სიტყვებს, – ახალ სტრუქტურას ეწოდებოდა „დასავლეთ სანაპიროს სექს-ინდუსტრიის პროფესიონალთა კოოპერატივი“. კოპერირების არსი კი კანონის ჩარჩოებში მუშაობაა. არ მგონია, ამაზე უარი გვითხრან“.

საროსკიპოები კანადაში არაკანონიერია, პროსტიტუცია კი – ნებადართული. სუტენიორობისთვის კი, შესაძლოა, ციხეში ხანგრძლივად მოხვედრა.



◎ კალათბურთი

# ჩვენებური პარადოქსები

**გაოცდები კაცი, აბა რა – როგორი საქმეა, საკუთარ გუნდს 47 (!) ქულა მოუტანო, მაგრამ მაინც დამარცხებულმა დატოვო სარბიელი.**

„მაქაბისა“ და მის ლიდერ გიორგი შერმადინზე მოგახსენებთ, რომელიც პარტნიორებს, მართალია, XVI ეროვნული ჩემპიონატის სარეკორდო მონაგრით შეეწია, მაგრამ „ვითას“ დასანაქებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – 73:75.

საერთოდ, გასული კვირა საფუძვლიანად შეგვიძლია ზურაბ ტომარაძის შეგირდთა ბენეფისად მივიჩნიოთ – შეგახსენებთ, რომ მანამდე „ვითამ“ რუსთავში უპირობო ფავორიტს „ენერჯი ინვესტს“ სძლია – 69:57 და ამას ტრავმირებული „ყოჩების“ ბერძენიშვილისა და მარკოიშვილის გარეშე მიაღწია.

კიდევ ერთი კურიოზი თბილისის „დინამოსა“ და „ავიამშენის“ შეხვედრაში დაფიქსირებული ფაქტი გახლავთ: მაშინ, როცა მოედანზე „თეთრლურჯთა“ საუკეთესო მოთამაშე სანიკიძე იყო, ავიატორებს ბევრი რამ გამოსდიოდათ, ხოლო მაშინ, როცა ვიქტორს ზაზა ცაგარეიშვილი დასვენების საშუალებას აძლევდა, თითქოს ამ მომენტს უცდიდნენო, მისი თანაგუნდელები მეტოქის უპირატესობას აცამტვერებდნენ და დაწინაურებასაც კი ახერხებდნენ. საბოლოოდ აღნიშნული კატათაგვობანა „ავიამ“ მოიგო – 94:86.

რაც შეეხება XVI ტურის ცენტრალურ მატჩს თსუ-ს და „ენერჯი ინვესტს“ შორის, „ვითასგან“ ნაგემმა ალიყურმა, ეტყობა, სასიკეთოდ იმოქმედა ქვემოქართლელებზე და მათ უპრობლემოდ დაჯაბნეს პრინციპული მეტოქე – 103:91.

* * *

**გამოვლინდა საქართველოს ნაკრები გუნდების მომავალ მეტოქეთა ვინაობა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ და ფინალურ ეტაპებზე. გთავაზობთ ვენეციაში გამართული კენჭისყრის შედეგებს:**



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

**ეროვნული ნაკრები. „ბ“ დივიზიონი. „გ“ ჯგუფი**. სლოვაკეთი, საქართველო, ირლანდია, შვედეთი, ლუქსემბურგი.

**16 წლამდელთა ნაკრები. „ა“ დივიზიონი. „დ“ ჯგუფი.** რუსეთი, საქართველო, ისრაელი, საფრანგეთი.

**18 წლამდელთა ნაკრები. „ბ“ დივიზიონი. „დ“ ჯგუფი.** საქართველო, დანია, ფინეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი.

**20 წლამდელთა ნაკრები. „ა“ დივიზიონი“. „ბ“ ჯგუფი.** ისრაელი, საქართველო, თურქეთი, იტალია.

◎ კრივი

## ოქმის ენით



**გლდანში დამთავრდა ახალგაზრდა მოკრივეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.** დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ ლევან კაჟაშვილი (48 კგ.), დავით გასვიანი (51), ადილ ასლანოვი (54), ლევან ქობულაშვილი (57), ზაალ კვაჭატაძე (60), გიორგი ჯაყელი (64), ჯაბა ხოსიტაშვილი (69), რომან თავაძე (75), რეზო ხორავა (81), ლადო ცაციაშვილი (91) და თორნიკე პურიჭამიაშვილი (მძიმე წონა).

◎ მძლეოსნობა

## ქვეხიშვილი პეკინში იასპარეზებს

**ამას წინათ გაუწყეთ, რომ ქართველმა მძლეოსანმა, ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე მარიამ ქვეხიშვილმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს და ბირთვის კვრაში იქვე იმაღლებს ოსტატობას, წლეულს სხვადასხვა შტატის სტუდენტურ პირველობებზე ყველას აჯობა.**

გასულ უქმეებზე მარიამმა აიოვას შტატში აშშ-ს პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მან ბირთვი 17,44 მეტრზე ჰკრა, სალიცენზიო ნორმატივი შეასრულა და პეკინის ოლიმპიადის საგზურიც დაიმსახურა.

◎ ჭოკით ხტომა

## პირველი სტარტი – მსოფლიო რეკორდით



**თითქოს გასაკვირი არაფერი უნდა ყოფილიყო, ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ თავისი გულშემატკივრები ხომ მიაჩვია მსოფლიო რეკორდებს. ასე იყო შაბათსაც დონეცკში, ტურნირზე „ჭოკის ვარსკვლავები“.** სახელოვანმა სპორტსმენმა მესამე ცდაზე 4,95-მეტრიანი სიმაღლე დასძლია და აქ დამყარებული თავისივე შარშანდელი მსოფლიო რეკორდი 2 სანტიმენტრით გააუმჯობესა.

სხვათა შორის, ელენამ შეჯიბრება წარმატებით როდი დაიწყო. მან საწყისი სიმაღლე 4,87 მეტრი მხოლოდ მესამე ცდაზე გადალახა.

◎ ჭადრაკი

# მინორული დებიუტი მაჟორული ფინიშით



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 23 გოგონა და 47 ვაჟი მონაწილეობდა.**

შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით წარიმართა. გამარჯვებულები და პრიზიორები მხოლოდ ბოლო ტურმა გამოავლინა. გოგონებში ერთპიროვნულმა ლიდერმა მერი არაბიძემ მარიამ თევზაძეს სძლია და 7,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ნათია ჯალაბაძე, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა. 6-6 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები ნინო ანაკიძემ და ფატმან რიჟამაძემ გაინაწილეს.

ვაჟებში რეიტინგით პირველი გახლდათ ლევან ბრეგვაძე, რომელმაც თამაშითაც დაადასტურა უძლიერესის სტატუსი. ბოლო ტურში ზურაბ ჯავახაძის ძლევით ლევანმაც 7,5 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა. 7-7 ქულით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები ირაკლი ჯანიაშვილმა, ნოდარ დავარაშვილმა და თორნიკე გაბუნიამ გაიყვეს.



ეს შეჯიბრება საკვალიფიკაციო ტურნირიც იყო. ამდენად, არაბიძემ და ბრეგვაძემ მსოფლიო პირველობაზე თამაშის უფლება მოიპოვეს, ხოლო ჯალაბაძე და ჯანიაშვილი ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მსოფლიო და ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონს, სხვადასხვა ასაკში საქართველოს პირველობის ოთხგზის გამარჯვებულ **მერი არაბიძეს** გავესაუბრე:

– ტურნირი უხეიროდ დავიწყე,– მითხრა მან. – სამი ტურიდან მხოლოდ ქულა-ნახევარი მოვაგროვე. შემდეგ ზედიზედ ექვს მეტოქეს ვძლიე და პირველ ადგილზეც გავედი, რამაც ძალიან გამახარა. შეჯიბრება დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, იმის მიუხედავად, რომ არ მონაწილეობდნენ ამ ასაკში აშკარა ფავორიტები – მარიამ დანელია და ქეთი წაწალაშვილი, რომლებიც ამჟამად ესპანეთში იმყოფებიან.

**– სამომავლოდ რას აპირებ?**

– საქართველოს თოთხმეტ და თვრამეტწლიანთა პაექრობებში ვიასპარეზებ, მერე კი ჩემი მწვრთნელის – ალეკო არსენიშვილის ხელმძღვანელობით მსოფლიო და ევროპის პირველობებისთვის მოვემზადები.

**მარი მაისურაძე**

● განა მარტო მაღლაკიდან, საქართველოს თითქმის ყველა სოფლიდან საზღვარგარეთისკენაა დაძრული ქალი და კაცი, უმეტესად, ქალები

⊙ სევდიანი ეტიუდები

# საქართველოს სიყვარულით დაღლილი...

**ნახეთ, ამაღლებულზე ჩამომჯდარა ილია ზაქაიძე – დუშელი კაცი, საქართველოს სახალხო არტისტი, ხალხური მელოდიების უბადლო შემსრულებელი... ეს ფოტო კარგა ხნის წინანდელია, მაშინდელია, როდესაც ილია ზაქაიძე „მოდაში“ იყო, შთაგონებით ასრულებდა სიმღერებს: „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, „სალაღობო“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ღმერთო, როგორ ველოდი ბავშვობაში რადიოში ამ ხმას! ღმერთო, ხალხური სიმღერის რა სიყვარულს მინერგავდა იგი!.. „დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ“, ვიმეორებდი და ილია ზაქაიძეს ვბაძავდი ხმის მიმოხვრაში.**



უკვე თბილისში, ჩემმა პროფესიამ გამაცნო ბატონი ილია, ერთ-ორჯერ შევხვდი კიდეც, მისი დაბადების 80 წლისთავის დღეებში (ორი წლის წინათ) წერილიც დავწერე ხალხური სიმღერების ამ გამორჩეულ შემსრულებელზე...

უკვე ველარ მონაწილეობდა იგი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გახმაურებულ კონცერტებში, დუშეთში ცხოვრობდა – თავის სამშობლოში, აქედან ეფერებოდა მთელ საქართველოს...

გუშინწინ შემთხვევით გავიგე მისი გარდაცვალება. „მზეზე“ გამოვაცხადეთო, მეუბნება სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის („ერისიონის“) სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი, გავაცილეთ, როგორც საჭირო იყო, მაგრამ მაინც მეტს იმსახურებდა, ბატონი ილიაო. დიდი პროფესიონალი, ხალხურ ფოლკლორს გადაყოლილი კაცი იყო, მისთვის არ არსებობდა რეპეტიციის გაცდენის მიზეზიო, მეუბნება ბატონი ჯემალი.

ჰაი, ჰაი, რომ ბევრმა ვერ გაიგო სახალხო მომღერლის ამ ქვეყნიდან წასვლა. რას ვიზამთ, ისეთი დრო დგას, „ყველა თავის საქმეების გართულა“, მამულიშვილების პატივისცემა კი გვავიწყდება!..

ღმერთმა ნათელში გამყოფოს ძია ილო! „ჩაკრულოში“ აკასკასებული შენი პირველი ხმა კოსმოსში ისმის და შენი ოსტატობის, ქართული ფოლკლორის სიდიადის დასტურია!

# იმღერეთ ახლა ირონიულად – „სოფელო, ჩემო სოფელო!“

**მაღლაკში ვარ – ჩემს მშობლიურ სოფელში, ჩემს სულისდგმაში... ისე წავიდა საქმე, რომ ხშირ-ხშირად ველარ ვსტუმრობ აქაურობას, ველარ ვნახულობ მამა-პაპეულ კარ-მიდამოს, ოდა-სახლს, კუთხე-მეზობელს...**

ახლობელი ახალგაზრდა კაცის დაკრძალვაზე ჩავედი მაღლაკში, მივიკითხ-მოვიკითხე ჩემიანები, „კრუგში“ ვდგავარ მათთან. ვსაუბრობთ აქეთურზე, იქეთურზე... ის, გარდაიცვალაო, მეუბნებიან, იმისმა ბიჭმა ცოლი შეირთოო, იმას შვილი შეეძინაო... ეს, ყველაფერი, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, აგერ, ჩემი ბიძაშვილის ცოლის, შესანიშნავი იმერელი მეოჯახე ქალის ნათქვამმა, შეიძლება საბერძნეთში წავიდეო, გული ჩამწყვიტა... რატომ-მეთქი ლიანა... აღარ ღირს აქ ცხოვრებაო (დიახ, დიახ: აღარ ღირს აქ ცხოვრებაო), მთელი წელიწადი ვშრომობთ, მიწას ვებრძვით და, ბოლოს, რაც დავხარჯეთ ხვნაში, თესვაში, მოსავლის შეწამვლა-დასასუქებაში, იმის ნახევარსაც ვერ ვიღებთ, საერთოდ, ძლივს ვასაღებთ მოსავალსო, შარშან კიტრს თან გადავყევით, ვთოხნეთ, ვაფხვიერეთ, ვასუფთავეთ და, მართლაც, ბლომად დაისხა, მაგრამ გადამყიდველებს ათ-თხუთმეტ თეთრად მიჰქონდათ კილო და ჩვენ არაფერი გვრჩებოდაო...

...და მე მაგონდება „საბჭოეთის“ წლები, როდესაც მაღლაკელებს მოსავალიც მოჰყავდათ და ასაღებდნენ კიდეც მას სარფიანად, ქუთაისიდან ბიჭვინთამდე „დაპყრობილი“ ჰქონდათ ბაზარი ათასგვარი ბაღჩეულით, და სეზონი ისე როგორ ჩაივლიდა, რომ ერთი მსუბუქი მანქანის ფული მაინც არ ეშოვნათ. რა თქმა უნდა, მაშინაც, ძირითადად, ამინდზე იყო დამოკიდებული გლეხკაცის შრომა, მაგრამ წლიდან წლამდე თავი რომ გაეტანათ, ეს რა პრობლემა იყო!

– ერთ-ერთი უბნიდან თორთხმეტი ქალია წასული თურქეთში, მეოჯახე, მშრომელი ქალები – გულისტკივილით საუბრობს ლიანა, – კაცები ძროხას წველიან, ოჯახს უვლიან, ქალები კი სახარჯო ფულს გზავნიან თურქეთ-საბერძნეთიდან.

...რა უნდა ვუთხრა?! რით ვანუგეშო?! განა მარტო მაღლაკიდან, საქართველოს თითქმის ყველა სოფლიდან საზღვარგარეთისკენაა დაძრული ქალი და კაცი, უმეტესად, ქალები, სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად ახალი ვადით არჩევის წინ, რას აღარ დაჰპირდა ამომრჩევლებს, განსაკუთრებით კი სოფლის მცხოვრებთ. ნეტა, გაცნობიერებული თუ აქვს მას, რომ საუკუნეთა განმავლობაში სოფელი იყო ქვეყნის მარჩენალი?!. ახლა მდგომარეობა „გაადვილდა“ – ვილას უნდა ქართულ სოფელში მოწეული ბოსტნეული და ბაღჩეული, ვაშლი და ყურძენი?!. შემოდის და შემოდის თურქეთიდან და სხვადასხვა მეზობელი ქვეყნებიდან იაფად ყველაფერი და ეს „კონკურენცია“ უიმედო მდგომარეობაში აგდებს ქართველ გლეხკაცს!

იფიქრებს სააკაშვილი და მისი მთავრობა მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებას?!

მტერი არაა!..

# მამები

**სევდიან მაგიდას ხუთნი უსხდნენ. საუბრობდნენ ბედისწერაზე, ხელისუფლების უსამართლობაზე, ტრაგიკულად დაღუპული ბიჭების ხსოვნის სადღეგრძელოს სვამდნენ. მერე ნელ-ნელა გაიკრიფნენ და ორნი დარჩნენ პირისპირ – უკვე შემთვრალები, ცრემლმორეულები... ერთი სანდრო გირგვლიანის მამაა – გურამი, მეორე ბუტა რობაქიძის მამა – სოსო...**

ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის სანდროს და ბუტას სიკვდილის ისტორია, მთელმა საქართველომ იცის, რა გულგრილობით ეკიდებოდა და ეკიდება, რა უსამართლო სამართალს იგონებს ხელისუფლება და სასამართლო, ოღონდ ჭეშმარიტებას ზურგი აქციოს და საზოგადოებას თვალში ნაცარი შეაყაროს!

დაღუპული ოჯახები!...

უიმედობით გათანგული მამები!

გურამ გირგვლიანი – ერთადერთი ვაჟიშვილის – სანდროს მამა და შვილს გადაყოლილი დედის – ირინას მეუღლე!

სოსო რობაქიძე – ერთადერთი ვაჟიშვილის – ბუტას მამა...

სანდრო 29 წლისა გამოასალმეს სიცოცხლეს გარეწრებმა, ბუტა – 18 წლისა იყო!

იმ დღეს ეს ხუთი მამაკაცი სანდროს დაბადების დღეს აღნიშნავდა სევდიან მაგიდასთან. იმ დღეს 31 წლისა გახდებოდა გურამ გირგვლიანის ვაჟკაცი.

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

⊙ იუბილე

# ჩემი საყვარელი კასეტები



## დიდი მსახიობის დიდი ასაკი

**დაჯექი (წამოწექი), ჩართე კასეტა ვიდეოში და უყურე რასაც გინდა. აი, კიდევ ერთი მიღწევა ტექნოლოგიების საუკუნისა! მეც, კვირა ისე როგორ გავა, რომ საოჯახო კასეტებში ორი – ყველაზე საყვარელი – არ ამოვარჩიო და უკვე მერამდენედ არ ვუყურო „რიჩარდ მესამეს“ და „კავკასიური ცარცის წრეს“. ორი ბრწყინვალე სპექტაკლი დიდი რობერტ სტურუასი! ორი ბრწყინვალე როლი დიდი რამაზ ჩხიკვაძისა!.. აღარ იდგმება ეს სპექტაკლები რუსთაველის თეატრში, მაგრამ, ა ბატონო, ჩანაწერები!..**

და შევყურებ (ხშირად ოჯახის წევრებთან ერთად), და ვტკბები ქართული სარეჟისორო და სამსახიობო სკოლის საკისკასითა და ელვარებით. ხომ უბრწყინვალესი თანავარსკვლავედია აქ მსახიობებისა, ბატონი რამაზ ჩხიკვაძე, მაინც სხვა არის. იგი ერთიანად გიპყრობს, გიტაცებს, და კიდევ ერთხელ სიამაყით გავსებს შენი ერის უკიდეგანო ნიჭიერების გამო. სწორედ ერმა გადასცა, სწორედ გენმა ჩააბუდა მასში მრავალსახეობა არტისტისა, უკურთხა ტრაგიკული თუ კომიკური ნილბები და მისი თანამედროვენი ბედნიერები გაგვხადა იმით, რომ რამაზ ჩხიკვაძე ჩვენს გვერდით ცხოვრობს...

ცხოვრობს და აი, უკვე, დაბადების 80 წლისთავს ხვდება ბატონი რამაზი! ღმერთო მიეც მას შინაგანი ძალა და აღმაფრენა მისი მშობელი ხალხის, მილიონობით თაყვანისმცემლის (ჩვენში და საზღვარგარეთ) სასიამოვნოდ!

**სურათზე: მარინე თბილელი და რამაზ ჩხიკვაძე სპექტაკლში „რიჩარდ მესამე“.**

⊙ გაზაფხულის მოლოდინი

# წოპეს „პარლამენტი“ მიდი-მოდის...



რომ ბაღში ნაკლები ხე იდგეს, დაჭრეს, შესხეპეს მშენებლებმა ასწლოვანი ჭადრები, ნეკერჩხლები, ცაცხვები, მოცარიელებულია იქაურობა, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, რომ მშენებლები ძალიან ჩქარობენ, რადგან 26 მაისს მზად უნდა იყოს გაახლებულ-აღორძინებული ბაღი. შიგ ატრაქციონები დაიდგმებაო, ცხადია, შადრევანი ამოჩქეფდება, ოღონდ, ახლებურადო... თაბუკაშვილის ქუჩიდან, კიბეები რომ ჩადიოდა, ახლა სხვაგვარად იქნება, ჩვილებისა და ინვალიდების ეტლებისთვის კეთდება ჩასასვლელიო, სრულიად ახალ სახეს მიიღებს ბაღში მდებარე, სანდრო მრევლიშვილის ნალოლიავები თეატრი „გლობუსი“, შენობაც გადიდდება და რეპერტუარიც განახლდება ახალი თავკაცების ხელშიო...

ნგრევა-შენების მტკივნეულ, გულისგამაწვრილებელ პროცესს ვერც „ალექსანდრეს ბაღი“ გადაურჩა. ჯერ რუსთაველის გამზირის მიმდებარე (ამჟამად რომ 9 აპრილის ბაღი ჰქვია) ტერიტორია ანგრიეს და აშენეს თავის ჭკუაზე „ვარდოსნებმა“ – თუ სადმე მიწის ნასახი იყო, მოკირწყლეს, ძელსკამები შეცვალეს, ასწლოვანი ხეები, ზოგი მოჭრეს, ზოგიც შესხეპეს... მაგრამ „ალექსანდრეს ბაღი“ ხომ ორნაწილიანია, შუაზე რეზო თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძის) ქუჩა ჰყოფს და უკვე ქვედა მხარეს, გოგლა ლეონიძის ძეგლის შორი-ახლო საქმიანობენ ბაღის მშენებლები. ამ პროცესმა, ძალაუნებურად ბაღიდან „წოპეს პარლამენტის“ „განდევნა“ გამოიწვია. მეტი რა გზა იყო, ჩვენც დროებით ზემოთ ავინაცვლეთ, ერთი ასწლოვანი ნეკერჩხლის ძირში ვიყრით ხოლმე დილაობით (უფრო შაბათ-კვირას) თავს და ვსაუბრობთ ქვეყნის საშინაო და საგარეო პრობლემებზე, თან ზემოდან გადავცქერით, რა დღეშია „ჩვენი“ ტერიტორია.



რა დღეშია და, ველარ იცნობთ „ალექსანდრეს ბაღის“ ქვედა მხარეს. ეტყობა, პროექტი ითვალისწინებს,

ვნახოთ, დაველოდოთ...

მანამდე კი წოპეს „პარლამენტის“ წევრები „ზედა“ ბაღში ვიკრიბებით ხოლმე, „პარლამენტი“ შემეჩხერებულია ამ დაუსრულებელი ყინვა-სიცივეების გამო...

ჩვენც გაზაფხულის სითბოს მოუთმენლად ველოდებით.

**სურათებზე: ასე გამოიყურება ამჟამად „ალექსანდრეს ბაღი“; ასეთი იქნება ბაღი პროექტის მიხედვით.**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

№ 31. სამშაბათი, 19 თებერვალი, 2008 წელი.

# სხვადასხვა

● ჯერ არ ჩამცხრალა გასული წლის ვნებათაღელვა, რომ ვებერმა ახალი კონკურსი გამოაცხადა დედამიწაზე არსებული ბუნების შვიდი საოცრების შერჩევის შესახებ. კონკურსზე განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 8 აგვისტო



◉ ფლობ იმას, რასაც იცავ

## ყურები ბამბით გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია...

**კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია, ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია.**

*ხალხური*

**ჩვენი პლანეტის მცხოვრებლების უდიდესი დაინტერესება გამოიწვია შვეიცარიელი მილიონერის ბერნარდ ვებერის წამოწყებამ კაცობრიობის ახალი შვიდი საოცრების შესახებ. ჟურნალისტების აზრით, ეს კონკურსი გადაიქცა აქამდე არნახულ, ყველაზე მასშტაბურ აქციად დედამიწაზე.**

ადრეული ანტიკური ეპოქის შვიდივე საოცრება ხმელთაშუა ზღვისპირეთის აუზის ცივილიზაციის მონაპოვარია, რომელთაგან, დღესდღეობით, შემოგვრჩა მხოლოდ ეგვიპტის პირამიდები. თანაც, შვიდიდან ხუთი ბერძნული ხუროთმოძღვრების შედევრს წარმოადგენდა. ძველმა ელინებმა თითქმის არაფერი იცოდნენ დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის არსებობის შესახებ (მით უმეტეს, წარმოდგენა არ ჰქონდათ მათ კულტურაზე).

კონკურსის პირობების თანახმად, განაცხადი შეიძლებოდა, შემოეტანათ მხოლოდ იმ ძეგლებზე, რომლებიც ააგეს ან აღმოაჩინეს 2000 წლამდე. ფინალში გასული რამდენიმე შედევრიდან (სხვათა შორის, მოსკოვის კრემლის ფინალში გასვლა დიდი პატივით აღნიშნეს რუსეთში), საბოლოოდ ამოარჩიეს მსოფლიოს ახალი შვიდი საოცრება. აი, ისინიც:

1. რომის კოლიზეუმი (იტალია);
2. ჩინეთის დიდი კედელი (ჩინეთი);
3. ტაჯ-მაჰალის მავზოლეუმი (ინდოეთი);
4. პეტრას კლდეში ნაკვეთი ქალაქი (იორდანია);
5. ქრისტეს ქანდაკება რიო-დეჟანეიროში (ბრაზილია);
6. ინკების ქალაქის მაჩუ-პიკჩუს ნანგრევები (ამერიკა);
7. მაიას ჩიჩენ-იცას ქალაქის ნანგრევები (ამერიკა).

მსოფლიოს, განსაკუთრებით კი, ე.წ. მესამე მსოფლიოს ლიდერებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ბოლოს და ბოლოს აღდგა სამართლიანობა და ჯეროვნად წარმოჩინდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების მრავალსაუკუნოვანი მიღწევები. კონკურსმა გვიჩვენა, რომ მსოფლიო თანასაზოგადოებამ გაითავისა კონკრეტული ხალხის კულტურა, მისი ისტორია და იგი მთელი თანამედროვეობის, მისი თითოეული წევრის მონაპოვრად იქცა.

ჯერ არ ჩამცხრალა გასული წლის ვნებათაღელვა, რომ ვებერმა ახალი კონკურსი გამოაცხადა დედამიწაზე არსებული ბუნების შვიდი საოცრების შერჩევის შესახებ. კონკურსზე განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 8 აგვისტო. მთელი პლანეტა წინასაკონკურსო ციებ-ცხელებით არის დაკავებული. ჩვენ?.. „ყურები ბამბით გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ და არც არაფერი გვესმის, მიდიან დღენი, მიდიან წლები და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ და ისევ ისე ხელცარიელნი, როგორც ვყოფილვართ“, — ჭრაქის ეპოქაში დაწერილი ეს სიტყვები დღესაც ასევე აქტუალურია კომპიუტერებისა და ინტერნეტის საუკუნეში. არადა, უნიკალური შემთხვევა გავუშვით ხელიდან. შეგვეძლო, მსოფლიო თანასაზოგადოების წინაშე წარმოგვეჩინა ჩვენი წინაპრების ხმლით აშენებული და სისხლით შედუღაბებული არქიტექტურის იშვიათი ძეგლები.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს არის ნამდვილი დანაშაული ერის წინაშე. თუმცა რა გვიკვირს, როცა ერის მამად აღიარებული დიდი ილიას დაბადების 170, საზარელი მკვლელობის 100 და წმინდანად შერაცხვის 20 წლისთავის სრული იგნორირების მოწმენი გავხდით. ნუთუ ყველაფერი ზემოდან უნდა იწყებოდეს? და ერის ელიტა მხოლოდ ქვევრიდან პასუხობდეს? ი. გოგებაშვილი წერდა: „იქნებ არც ერთ მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილიას საქართველოსთვისო“. რას იზამთ, დღევანდელ ქართულ საზოგადოებას სერიალებისა თუ შოუმენების ბედი უფრო აღელვებთ, ვიდრე სამშობლოსათვის თავდადებული ერისკაცების.

ან რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? გასრულდა უწმინდესისა და უნეტარესის აღსაყდრების 30 წლისთავი და ჩვენ დღემდე არ გვაქვს წიგნი საქართველოს პატრიარქების შესახებ, რომელთაც სულ მცირე თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვთ.

ორი ათასწლეულის მიჯნაზე სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია შეჯამება ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარებისა, გააზრება საქართველოს როლისა და ადგილისა კაცობრიობის თანავარსკვლავედში, ადრინდელ თუ თანამედროვე მსოფლიოში. „მოაზროვნე საქართველოს მოაზროვნე შვილები“ (ილია) ყოველ ღონეს უნდა ხმარობდნენ, რათა ქართული ცივილიზაციის მიღწევები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს, როგორც დღევანდელი თაობისთვის, ასევე დედამიწის თანასაზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის. გვჭირდება წიგნი, აკადემიური გამოცემა ქართული ცივილიზაციის შესახებ. ისტორია ჩქარობს. დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს...

დაბოლოს, სოჭის მომავალ ოლიმპიადასთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში გამოითქვა შეშფოთება, რადგან მის მიდამოებში გაჩაღებული ფართომასშტაბური მშენებლობები საშიშროებას უქმნიან არსებულ ისტორიულ ძეგლებს. ამჟამად იქ აქტიურად მუშაობენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი თანამშრომლები, არქეოლოგები. აღმოჩენილია XI-XIII საუკუნის შენობათა ნანგრევებში, რომელთა წარმომავლობა, ჯერჯერობით, ზუსტად არ არის დადგენილი. თუ არიან საქმის კურსში ჩვენი შესაბამისი ორგანოები თუ სამეცნიერო წრეები?

აღიარებული ჭეშმარიტებაა, ნებისმიერი ხალხი თითოეული ჩვენგანი ფლობს იმას, რასაც იცავს.

**მედეა თავდიშვილი**

◉ ))გვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: არის თუ არა ვალდებული დამსაქმებელი, სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლენების ხარჯები, თუ მისი ხანგრძლივობა 45 დღეს აღემატება?**

**გენადი მიმინოშვილი**

**პასუხი:** თუ მუშაკის 45 დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით მივლინებაში გაგზავნა გამოწვეულ იყო სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე, საწარმოო აუცილებლობით, დამსაქმებელი ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

* * *

**კითხვა: მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ ცალკე ოჯახად. მე მე-4 კურსის სტუდენტი ვარ, მეუღლემ შარშან დაამთავრა უნივერსიტეტი და მუშაობს მცირე ხელფასზე, გვყავს 1 წლის ბავშვი. გთხოვთ, განგვიმარტოთ. გვექნება თუ არა რაიმე შეღავათი ჩვენი პატარა ბიჭის სტაციონარული მკურნალობის დროს, რომელსაც სჭირდება სერიოზული გამოკვლევების ჩატარება, რის შესაძლებლობაც ჩვენს ოჯახს არ გააჩნია?**



**მანანა ბაბუნიძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის შესაბამისად დაბადებიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება უფასოა.

* * *

**კითხვა: ვარ 79 წლის, წლების განმავლობაში ვიყავი დონორი, ამავე დროს მაქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ახლა ხანში შევედი და 65 ლარი პენსიის ანაბარა დავრჩი. როგორც ყოფილ დონორს, მეკუთვნის რაიმე დახმარება სახელმწიფოსგან?**

**ლაშა ნარმანია**

**პასუხი:** დღეს მოქმედი კანონით, თქვენთვის რაიმე სახის დახმარების დანიშვნისათვის არ არსებობს საფუძველი.

* * *

**კითხვა: დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გამოანგარიშებისას მიიღება თუ არა მხედველობაში ერთდროული სახის დახმარებები, პრემიები და მატერიალური ჯილდოები?**

**ბეჟან მესხი**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის განსაზღვრის დროს ერთდროული სახის დახმარებები, პრემიები თუ მატერიალური ჯილდოები მხედველობაში არ მიიღება.

* * *

**კითხვა: ვარ მძიმე ავადმყოფი 31 წლის ახალგაზრდა. იძულებული გავხდი, ავღძრა პენსიის დანიშვნის საკითხი, რომელიც წლების განმავლობაში არ მინდოდა, მაგრამ ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე მიმძიმდება, სხვა გზა არ მაქვს. ვის მივმართო?**

**ბექა ჭითანავა**

**პასუხი:** ინვალიდობის პენსიის დანიშვნის საკითხი იწყება შრომისუუნარობის შესაბამისი სტატუსის განსაზღვრით. პენსია შეიძლება დაგენიშნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კომისიის მიერ მოგენიჭებათ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შრომისუუნარობის სტატუსი. აღნიშნულ საკითხზე თავდაპირველად უნდა მიმართოთ თქვენი უბნის პოლიკლინიკას, ხოლო სათანადო სტატუსის დადგენის შემთხვევაში — სოციალური სუბსიდიების სააგენტოს რაიონულ სამსახურს, რომელიც განცხადებისა და საჭირო საბუთების წარდგენის დღიდან გადაწყვეტს თქვენთვის ინვალიდობის პენსიის დანიშვნის საკითხს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**


**რეკლამა**

*კოსტავას 12*

*„საქართველოს რესპუბლიკაში“* **98-65-87; 899 32-85-76.**


**შვილები ნელი, ნათელა, ბელა ყურაშვილები, სიძეები ვაჟა ქურდიანი, მერაბ მახათაძე, შვილიშვილები ვლადიმერ ქერქაძე, შალვა, კახაბერ ქურდიანები, ნიკა, ირაკლი მახათაძეები, შვილთაშვილები ნიკა, გიო ქერქაძეები, მარიამ, გიორგი, ნიკა ქურდიანები, ნიკა მახათაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ვიტალი ეპიფანეს ძე ყურაშვილი**

**დაკრძალვა 19 II, 15 სთ. ვაჟა-ფშაველას, 6.**

---

**სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ვაჟა ვარდიაშვილს და გელა დადეშელს დედის და ბებიის**

**თებრო შალიკაშვილ-ვარდიაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

◉ ინფორმაცია

## ამჯერად ღმერთმა გვიხსნა

**სამსუნთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეები დაშავდნენ. შემთხვევა 17 თებერვალს გამთენიისას მოხდა. „მაჰმუდ ტურის“ კუთვნილი მერსედისის ტიპის ავტობუსში სულ 21 მგზავრი იჯდა, რომლებმაც სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.**



როგორც „მაჰმუდ ტურის“ დირექტორმა კოტე ძიგუამ განაცხადა, ავტოსაგზაო შემთხვევა უამინდობამ გამოიწვია.

— სამსუნთან ძლიერი ქარბუქი და თოვლი იყო, რამაც ავტობუსის გადავარდნა გამოიწვია. იმავე დღეს სამსუნში მოძრავი უამრავი ადგილობრივი მანქანაც გადაცურდა, — განაცხადა კოტე ძიგუამ.

თავად მგზავრები ავარიას მძღოლის დაუდევრობას უკავშირებენ და „მაჰმუდ ტურის“ წინააღმდეგ სარჩელის შეტანას გეგმავენ. თურქეთიდან მომავალი მგზავრები უკვე საქართველოში იმყოფებიან.

*ჯი-ეიჩ-ენი*

**● უკიდეგანო კოსმოსში ყველაზე ახალგაზრდა პლანეტა, რომლის ფორმირება კოსმოსური მტვრისა და აირებისგან ისევ გრძელდება, აღმოაჩინა მაქს პლანკის სახელობის ასტრონომიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა. ამ „ნორჩი“ პლანეტის ასაკია 10 მილიონი წელი და ის დედამიწიდან 180 მილიონი სინათლის წლის მანძილითაა დაშორებული**



ადრე აღმოჩენილიდან ყველაზე ახალგაზრდა პლანეტა 100 მილიონი წლისაა. მას „გაია“ ჰქვია და მისი მასა სამჯერ აღემატება დედამიწის მასას.

**◉ ინფორმაცია**

## წამლის მაფია და ხელისუფლების მილიონები



**საქართველოს ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას კატეგორიულად სთხოვს, დაიშალოს ფარმაცევტული კომპანიები „ავერსი“ და „PSP“-ს .**

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა კატეგორიულად მოითხოვა „ავერსისა“ და „PSP“-ს დაშლა, რადგან, მისი აზრით, აღნიშნული კომპანიებიდან დიდი მოგება ხელისუფლების ჯიბეში მიდის.

ამის მაგალითად შატბერაშვილმა 5 იანვარს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები დაასახელა, რომლის ერთ-ერთი დამფინანსებელი აღნიშნული კომპანიებიც იყვნენ.

– კატეგორიულად მოვითხოვთ „ავერსისა“ და მისი კუდის „PSP“-ს დაშლას, რადგან არჩევნებისა და ხელისუფლების დასაფინანსებლად, მედიკამენტებზე ფასები 30-50 პროცენტით გაზარდეს და ეს თანხა ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის ჯიბიდან ამოიღეს, – განაცხადა იოსებ შატბერაშვილმა.

მისივე თქმით, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში ექიმები იძულებული არიან, ამ კომპანიების ბლანკიან ფურცლებზე გამოწერონ რეცეპტები.

იოსებ შატბერაშვილი ამ ორ კომპანიას ქართული ფარმაცევტული ბაზრის მონოპოლიზებაშიც ადანაშაულებს. როდესაც მომხმარებლები აფთიაქში შედიან, მათ „ავერსისა“ და „PSP“-ს ძვირადღირებულ წამალს სთავაზობს, ხოლო უცხოეთიდან შემოტანილ მედიკამენტზე, რომელიც შედარებით იაფია, ინფორმაციას არ აწვდიან, – აღნიშნა შატბერაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯართის ქურდი ბავშვი შეიწყალეს

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატის ძალისხმევით, სისხლის სამართლებრივი დევნა კიდევ ერთი არასრულწლოვანის მიმართ შეწყდა.**

16 წლის თამაზ დ. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილი ეზოდან ჯართის ქურდობის ბრალდებით დააკავეს. იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებმა მიმართეს, რის საფუძველზეც, ეჭვმიტანილის დამცველად საქმეში ადვოკატი თამაზ გურაშვილი ჩაერთო.

ადვოკატმა თამაზ დ-ს მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნით გამოძიების წინაშე დაყენებულ შუამდგომლობაში მიუთითა რამდენიმე შემამსუბუქებელი გარემოება, მათ შორის ის ფაქტი, რომ დაზარალებულ მხარეს ეჭვმიტანილთან პრეტენზიები აღარ გააჩნდა.

პროკურატურამ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტაცია და არასრულწლოვანის წინააღმდეგ დევნა შეწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის დასაწყისიდან დღემდე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები სხვადასხვა ინსტანციაში 408 არასრულწლოვანის ინტერესებს იცავდნენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**◉ რა არ ხდება**

## პარიზი ეიფელის კოშკის გარეშე?

**ბელორუსიაში ვიტებსკის ოლქის პოსტავსკის რაიონში ყოფილა სოფელი პარიზი. სწორედ მის მცხოვრებლებს გადაუწყვეტიათ ეიფელის კოშკის შემცირებული ასლის აგება.** ჯერჯერობით აგებულია 30-მეტრიანი კარკასი. კოშკის წვერზე დააყენებენ მანათობელ ჯვარს, ირგვლივ კი მოაწყობენ დეკორატიულ ტბებს. იდეის ავტორს, 82 წლის კსე იუზას ბულკას გადაწყვეტილი აქვს, სოფელი გადააქციოს ტურისტულ ცენტრად და მუზეუმად, ბიბლიოთეკებითა და საგამოფენო დარბაზებით, ადრე ამ მოუსვენარი მოხუცის ინიციატივით მეზობელ სოფელში საფუძველი ჩაეყარა სიფხიზლის ხეივანს, რომლის თავში ტაძარი და მოსეს ქანდაკებაა, ირგვლივ კი უამრავი ლოდი, რომლებზეც ამოკვეთილია წარწერები ალკოჰოლიზმის მავნებლობის შესახებ.



არაფერს იტყობინებიან, დაეხმარა თუ არა ყოველივე ეს სოფელში ლოთობის აღმოფხვრას.

## ყველაზე „ნორჩი“ პლანეტა

**უკიდეგანო კოსმოსში ყველაზე ახალგაზრდა პლანეტა, რომლის ფორმირება კოსმოსური მტვრისა და აირებისგან ისევ გრძელდება, აღმოაჩინა მაქს პლანკის სახელობის ასტრონომიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა. ამ „ნორჩი“ პლანეტის ასაკია 10 მილიონი წელი და ის დედამიწიდან 180 მილიონი სინათლის წლის მანძილითაა დაშორებული.**

ადრე არ აღმოუჩენიათ ასეთი „ახალგაზრდა“ პლანეტა, პირველმა მონაცემებმა უკვე დაადასტურა იმ პროცესების გასაოცარი ხასიათი, რომელიც სწრაფმზარდ ამ ციურ სხეულზე მიმდინარეობს.

## ლიტვა – ღვინის ქვეყანა?

**ბალტიისპირეთის მშვენიერი რესპუბლიკა – ლიტვა, ისევე როგორც ჩრდილოეთის ბევრი სხვა ქვეყანა, არ იყო შეყვანილი მსოფლიო ბაზრისთვის ღვინის მწარმოებელთა კლუბში.**

თუმცა, როგორც გაზეთი „ვერსლო ჟინესი“ იტყობინება, მას შემდეგ, რაც ევროკომისიამ გადაწყვიტა, ღვინო ეწოდებინა არა მხოლოდ ყურძნიდან, არამედ ხილისა და კენკროვანებიდან დამზადებული სასმელისთვისაც, ლიტველმა „მეღვინეებმა“ მიიღეს ევროკავშირის ფინანსური დახმარება, რაც გათვალისწინებულია ყველანაირი სიდრების დამზადებისა და სხვა ქვეყნებში ექსპორტის განვითარებისთვის.

ეგრეთ წოდებული შამპანიზირებული ღვინოების წარმოებისთვის იტალიური კომპანიების დახმარებით ლიტვაში იყენებენ როგორც ადგილობრივ ხილს, ისე იმპორტულ ღვინო-მასალებს.

2009 წელს შუშხუნა ღვინოების დამამზადებლებს ექსპორტის განვითარებისთვის პირდებიან დაახლოებით 30 ათას ევროს, ხოლო 2015 წლიდან – 45 ათას ევროს.

## შემოკლებანი – სიცოცხლეს ამოკლებს?

**ამერიკელმა და ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოავლინეს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ზრდის სერიოზული საექიმო შეცდომების რისკს. ესაა არაერთმნიშვნელოვანი შემოკლებანი სამედიცინო დოკუმენტებში, რომლებიც, შესაძლოა, ვერც კი გავიგოთ.**

გამოკვლევისას მეცნიერებმა გააანალიზეს საექიმო შეცდომების 30 ათასი შემთხვევა და დაადგინეს, რომ შეცდომების 5 პროცენტი ლეტალური შედეგებით პირდაპირ ან ირიბად გამოწვეულია შემოკლებული ტერმინების არსის არასწორი გაგებით. ყველაზე გავრცელებულ შეცდომად მიიჩნიეს მედიკამენტების დოზირების შემოკლებანი.


**რეკლამა** კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.


**◉ კადრი**



**◉ ანეკდოტები**

– შვილო, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს, – ეუბნება სიდედრი მიხოს. – რომლით დავიწყო?

– დედიჯან, აქამდე რომ ცოცხალი და ჯანმრთელი ხარ, ისედაც ვხედავ. ამიტომ ახლა კარგი ახალი ამბავი მითხარი.



* * *

– ბრალდებულო, აღიარებთ თქვენს დანაშაულს?

– არა.

– ბრალდებულს ბრალი ედება იმაში, რომ დაზარალებულს მაგარი ბლაგვი საგნით მიაყენა დარტყმა...

– იქნებ გეყოთ ჩემი თავის შეურაცხყოფა!

* * *

– გოგონი, შეიძლება, რომ ცხელი ყავით გაგიმასპინძლდეთ?

– თქვენისთანა თავხედს ამის ნებას არ მივცემ!

– მაშინ წამოხტი, ჩაიცვი და გაქრი ჩემი საწოლიდან!!!

* * *

სამართლიანია, როდესაც უძლიერესი იმარჯვებს, მაგრამ უსამართლობაა, რომ გამარჯვებული შენ არა ხარ.

* * *

– რა ღირს წყალი? – ეკითხებიან ივან ივანიჩს.

– ეს დამოკიდებულია იმაზე, რა უნდა გააზავოთ ამ წყლით...


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434


რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.